პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეუერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 36-ე წელი № 287 (10373) | ოთხშაბათი, 7 დეკემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

საკავშირო ბიბლიოთეკა

ᲐᲚᲛᲝᲕᲤᲮᲕᲠᲐᲗ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲕᲔᲯᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ამ უკანასკნელ წლებში ჩვენი პარტია ახორციელებს მთელ რიგ დიდ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოს მრეწველობის, უწინარეს ყოვლისა, მძიმე ინდუსტრიის, შემდგომი განვითარება, მისი ტექნიკური პროგრესი, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოება. ძალევს რა სიძნელეებს, საბჭოთა ხალხმა პარტიის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

ამასთანავე საჭიროა მთელი ძალით გავუსვათ ხაზი, რომ უდიდესი ამოცანები, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრისა და ივლისის პლენუმებმა დაგვისახეს, მოითხოვენ, რომ საბჭოთა ხალხმა ახალი ღონისძიებები განახორციელოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. დიდი ისტორიული მნიშვნელობის ამ ამოცანების განსახორციელებლად საჭიროა სერიოზულად გავაუმჯობესოთ მთელი ჩვენი პარტიულ-პოლიტიკური, იდეოლოგიური მუშაობა, მჭიდროდ დავუკავშიროთ ეს მუშაობა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას, მოცემული მომენტის გარკვეულ პრაქტიკულ ამოცანებს.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ რევოლუციური თეორია პრაქტიკული საქმიანობის სახელმძღვანელოა, რომ პრაქტიკას მოწყვეტილი თეორია მკვდარია, ხოლო პრაქტიკა, რომელიც გაშუქებული არ არის რევოლუციური თეორიით, ვერ ხედავს განვითარების პერსპექტივებს, ბრმაა. სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგისადმი სწორი ხელმძღვანელობის ამოცანები მოითხოვენ, რომ ჩვენი კადრები დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძვლებს, უნარი ჰქონდეთ იხელმძღვანელონ თეორიით პრაქტიკული საქმიანობის საკითხების გადაჭრისას.

ამავე დროს ბევრ პარტიულ მუშაკს დღემდე არასწორად ესმის იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები, არის დიდი ნაკლოვანებანი და შეცდომები იდეოლოგიურ, მასობრივ-პოლიტიკურ და პროპაგანდისტულ მუშაობაში. იდეოლოგიური მუშაობის მთავარი ნაკლი ამჟამად ის არის, რომ ეს მუშაობა მოწყვეტილია კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას, რომ ვერ ვიჩენთ უნარს განვაზოგადოთ და სწრაფად გავავრცელოთ კომუნისტური მშენებლობის მოწინავე, ცხოვრებით შემოწმებული ნიმუშები, წარკვეთოთ ჩვენი იდეოლოგიური მუშაობა იმ უარყოფით მოვლენათა წინააღმდეგ საბრძოველად, რომლებიც ჩვენს წინსვლას აფერხებენ.

ამჟამად მიმდინარე პარტიულ კონფერენციებზე აღნიშნავენ, რომ ბევრი პარტიული მუშაკი ცდილობს იდეოლოგიური მუშაობა აწარმოოს განყენებულად, ხოლო იმათ, ვინც ამ მუშაობას უკავშირებს პრაქტიკულ საქმეებს, ხშირად ბრალად სდებენ საქმისნობასა და გაუბრალოებას. ჩანს, ზოგიერთ მუშაკს დაავიწყდა დიდი ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ „ახლა მთელი საქმე პრაქტიკაა, რომ დადგა სწორედ ის ისტორიული მომენტი, როდესაც თეორია იქცევა პრაქტიკად, სულდგმულდება პრაქტიკით, სწორდება პრაქტიკით, მოწმდება პრაქტიკით, როდესაც განსაკუთრებით სწორია მარქსის სიტყვები: „პრაქტიკული მოძრაობის ყოველი ნაბიჯი დუჟინ პროგრამაზე უფრო მნიშვნელოვანია...“

მუშაკები, რომლებიც ჯეროვნად ვერ აფასებენ თეორიის კავშირს პრაქტიკასთან და ცდილობენ იდეოლოგიური მუშაობა აწარმოონ ცხოვრებისაგან მოწყვეტით, პროპაგანდის საკითხში ადგებიან ხუცობის პოზიციას, ისინი ლაპარაკობენ კომუნიზმზე, რაღაც შორეულ მიზანზე, და ჩვენს პროპაგანდასა და აგიტაციას არ უკავშირებენ მოცემული მომენტის კონკრეტულ ამოცანებს, თვითეული საწარმოს, კოლმეურნეობის, ბრიგადის, ფერმის ამოცანებს პროდუქციის წარმოების გადიდების დარგში.

იდეოლოგიური მუშაობა, რასაც პარტიული ორგანიზაციები ახორციელებენ, ისე უნდა მოვაწყოთ, რომ მან, აღზრდის რა ადამიანებს კომუნისტური სულისკვეთებით, დაეჩქაროს ჩვენი ქვეყნის წინსვლა კომუნიზმისაკენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება იდეოლოგიურ მუშაობას ვაწარმოებდეთ განყენებულად, ამოვწურავდეთ მას მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომების მხოლოდ სწავლებით და ჩვენი ქვეყნის მშრომელთათვის მარქსისტულ-ლენინური თეორიის გაგმარტებით. ახლა, როცა ჩვენში ძირითადად აშენებულია სოციალისტური საზოგადოება და დასახულია კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის დიადი ამოცანები, მთავარია ის, რომ არა მარტო განგმარტავდეთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, არამედ პრაქტიკულადაც ვახორციელებდეთ მას, ვიბრძოდეთ მატერიალური და კულტურული სიკეთის სიუხვისათვის, საბჭოთა ადამიანების შეგნებულობის ზრდისათვის.

მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლამ, სოციალისტური საზოგადოების განვითარების თეორიის შესწავლამ ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი პრაქტიკული საქმიანობის გაუმჯობესებას, უზრუნველყოს ჩვენი ეკონომიკის სრული აყვავება და ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო პოზიციების შემდგომი განმტკიცება. ამჟამად ეს არის მთავარი, ეს არის ძირითადი მთელ ჩვენს იდეოლოგიურ მუშაობაში.

პარტიული ორგანიზაციების მთელ საქმიანობაში გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ მავნე შეუფარდებლობა კომუნისტური მშენებლობის თეორიასა და პრაქტიკას შორის.

როგორც „პრავდის“ დღევანდელი ნომერი იუწყება, ტამბოვის ოლქის ბევრ პარტორგანიზაციაში პარტიული პროპაგანდა მოწყვეტილია მშრომელთა ცხოვრებას, საწარმოების, კოლმეურნეობების, რაიონების პრაქტიკულ ამოცანებს. და ეს, სამწუხაროდ, ერთეული ფაქტი როდია. ჩვენი პროპაგანდისტები და აგიტატორები, ბევრი ჩვენი გაზეთი და ჟურნალი ხშირად პროპაგანდისტულ მუშაობას აწარმოებს ზერელედ და აბსტრაქტულად, კონკრეტულ ანალიზს არ უკეთებს იმას, თუ რა მდგომარეობაა მეურნეობის ამა თუ იმ დარგში, ამა თუ იმ საწარმოში ან კოლმეურნეობაში, სუსტად ავითარებს ნაკლოვანებებს, ბიუროკრატიზმისა და მოუქნელობის მოვლენათა კრიტიკას, არ იჩენს ჯეროვან აქტივობას ჩვენი სიძნელეების დაძლევისათვის ბრძოლაში. საჭიროა გადაჭრით მოვუღოთ ბოლო ამ ნაკლს როგორც სიტყვიერ, ისე ბეჭდვითს აგიტაციასა და პროპაგანდაში. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს ვ. ი. ლენინის სიტყვები: „რაც შეიძლება ნაკლები პოლიტიკური ლაქლაქი, მეტი ყურადღება კომუნისტური მშენებლობის უაღრესად მარტივი, მაგრამ ცოცხალი, ცხოვრებიდან აღებული, ცხოვრებით შემოწმებული ფაქტებისადმი...“

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა შეიისწავლონ მშრომელთა მოთხოვნილებანი, ხელი უნდა ჩასჭიდონ საკითხებს, რომლებიც მშრომელებს აინტერესებთ და აღელვებთ, და ამის გათვალისწინებით მოაწყონ აგიტაცია და პროპაგანდა. ჩვენი პროპაგანდა და აგიტაცია უფრო საგნობრივი და შეტევითი უნდა იყოს. პროპაგანდამ და აგიტაციამ უნდა გვიჩვენოს არა მარტო წარმატებები და მიღწევები, არამედ ამასთანავე გამოამჟღავნოს ნაკლოვანებანი, ჩვენი ზრდის სიძნელენი, ახსნას მათი მიზეზები და მათი დროებითი ხასიათი, გვიჩვენოს სიძნელეთა უსწრაფესად დაძლევის გზები, წარმართოს საბჭოთა ადამიანების ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ჩვენი პროპაგანდის ძალა მისი სიმართლე, კონკრეტულობა, გასაგებობა და ქმედითობაა.

კომუნისტური პარტიის იდეოლოგიურ მუშაობას მუდამ ახასიათებდა საბრძოლო სულისკვეთება, მტკიცე ბრძოლა ჩვენთვის უცხო ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და ყოველი მისი გამოვლინების წინააღმდეგ. ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ ბრძოლას, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლას უფრო ქმედითი და კონკრეტული ხასიათი უნდა ჰქონდეს.

იდეოლოგიური მუშაობა მოწოდებულია დღითიდღე უნერგავდეს საბჭოთა ადამიანებს შრომისადმი, საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრებისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას, ავითარებდეს ხალხთა პატრიოტიზმს და ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობას, რაზმავდეს მშრომელებს საზოგადოების საწარმოო ძალების შემდგომი განვითარებისათვის. თვითეული კომუნისტი, და განსაკუთრებით ხელმძღვანელი, მოვალეა ახსოვდეს, რომ ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის მიზანი უნდა იყოს ბრძოლა მატერიალური სიკეთის გადიდებისათვის, სიუხვის შექმნისათვის ჩვენს ქვეყანაში, კულტურისა და მეცნიერების განვითარებისათვის.

საჭიროა საბჭოთა ადამიანებმა ნათლად გაითვალისწინონ და მტკიცედ დაიხსომონ ვ. ი. ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ სოციალისტური წყობილების გამარჯვება კაპიტალისტურ წყობილებაზე შეიძლება უზრუნველვყოთ საბოლოო ანგარიშით შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერების შედეგად, ეს კი ნიშნავს მატერიალურ ფასეულობათა მეტი რაოდენობით წარმოებას და მშრომელთა უზრუნველყოფის უფრო მაღალ დონეს, ვიდრე ეს არის რომელიმე კაპიტალისტურ, თუნდაც დიდად განვითარებულ ქვეყანაში. ამას ჩვენ მივალწევთ, თუ სრულყოფთ ჩვენს ტექნიკას, თუ სწორად მოვაწყობთ სახალხო მეურნეობის ყველა უბანს და თუ პარტიული ორგანიზაციები უშუალოდ ჩაერევიან საწარმოების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების კონკრეტულ სამეურნეო საქმიანობაში.

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება პარტიული, სამეურნეო და საბჭოთა კადრების ეკონომიურ განათლებას, იმას, რომ ისინი დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ პოლიტიკურ ეკონომიას, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ცოდნას. ამას დაბეჯითებით მოითხოვს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგისადმი სწორი ხელმძღვანელობის ამოცანები. უამისოდ ახლა არ შეიძლება განხორციელდეს ნაყოფიერი ხელმძღვანელობა.

ჩვენი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების ეკონომიური განათლება კი ხშირად ჯეროვნად არ არის შეფასებული. პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა გადაჭრით გაუმჯობესონ მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის, კონკრეტული ეკონომიკის საკითხების პროპაგანდა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საკითხებზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა.

იდეოლოგიური მუშაობის სერიოზული ნაკლია ის, რომ მასების პოლიტიკურ აღზრდაში ხშირად არ არის დიფერენციული მიდგომა ადამიანებისადმი. ჩვენ გვყავს ბევრი მოწინავე ადამიანი, რომლებიც თავდადებით მუშაობენ თავიანთ პოსტებზე. მაგრამ არიან ადამიანებიც, რომლებსაც ახასიათებს ჩამორჩენილი სულისკვეთება, რომლებიც დაუდევრად ეკიდებიან შრომას, ზარმაცი და უპატიოსნო ადამიანები არიან. საჭიროა გადაჭრით ვიბრძოლოთ ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ, ვამხილოთ ამ ბოროტების კონკრეტული მატარებელნი.

იდეოლოგიური მუშაობის ხელმძღვანელობა პარტიული ორგანიზაციების პირველხარისხოვანი ამოცანაა. უაღრესად საჭიროა, რომ ახლანდელმა პარტიულმა კონფერენციებმა ყოველმხრივ განიხილონ იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ მუშაობის ძირეული გაუმჯობესებისათვის. პარტიული კომიტეტები მოვალენი არიან ყოველდღიურად და კონკრეტულად იმუშაონ იდეოლოგიის საკითხებზე, მაღალი მომთხოვნელობა წაუყენონ იდეოლოგიური ფრონტის მოღვაწეებს, პარტიული აპარატის მუშაკებს, რომლებიც სპეციალურად უნდა მუშაობდნენ იდეოლოგიურ საკითხებზე. პროპაგანდისა და აგიტაციისადმი ხელმძღვანელობაში სრულად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი პრესა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ეგებება თავის XX ყრილობას, რომელიც საბჭოთა ხალხს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამით შეაიარაღებს. ყველა საბჭოთა ადამიანი დიდი აღმავლობით აჩაღებს ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებას, რათა ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას ახალი საწარმოო წარმატებებით შეხვდეს. პარტიულ კომიტეტებს მოეთხოვებათ, რომ ჩვენი პარტიის ყრილობისათვის მზადების პროცესში მიაღწიონ ახალ წარმატებებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, მიაღწიონ ყველა პარტიული ორგანიზაციის იდეური ცხოვრების ახალ აღმავლობას.

„პრავდის“ 3/XII მოწინავე.

Ნ. Ა. ᲑᲣᲚᲒᲐᲜᲘᲜᲘ ᲓᲐ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ ᲑᲘᲠᲛᲐᲨᲘ

მანდალაი, 4 დეკემბერი. (საკადესის სპეც. კორ.). გუშინ დღისით ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი რანგუნიდან თვითმფრინავით ჩავიდნენ შანის სახელმწიფოში—ავტონომიურ სახელმწიფოში, რომელიც ბირმის კავშირის შემადგენლობაში შედის. ტერიტორიის მიხედვით ბირმის ეს ყველაზე დიდი მოკავშირე სახელმწიფო მდებარეობს ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და ესაზღვრება ჩინეთს, ტაილანდსა და ლაოსს. მას უჭირავს თითქმის 100 ათასი კვადრატული კილომეტრი ზეგანი მდინარეების ირავადის და სიტანგის აღმოსავლეთით. შანის სახელმწიფოში სახლობენ შანები და ბევრი სხვა უფრო წვრილი ეროვნება. მისი მოსახლეობა საერთოდ 1.800 ათას კაცს აღემატება.

1947 წლის დამდეგს, როცა ბირმის ხალხებს გაჩაღებული ჰქონდათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, მოსაზღვრე შანთა სამთავროების მოსახლეობა მიემხრო სახალხო თავისუფლების ანტიფაშისტური ლიგის მოძრაობას, რომელსაც ბირმის ხალხთა ბელადი აუნუგ სანი ხელმძღვანელობდა, და შევიდა ახალგაზრდა ბირმის კავშირის შემადგენლობაში. ამ კავშირის ჩამოყალიბებისას შანის სახელმწიფომ მიიღო ავტონომია კავშირის სხვა ნაწილების თანაბრად.

შანის სახელმწიფოს ჩრდილოეთმა ნაწილმა განიცადა აგრესია ჩანკაიშელთა ბანდების მხრივ, რომლებიც ბირმის კავშირის ტერიტორიაზე შეიჭრნენ.

1953 წელს ჩანკაიშელთა რიცხვი ბირმაში 12 ათასს აღწევდა. ახლა, ოფიციალური ცნობებით, მიუხედავად ბირმის მთავრობის ყოველი ღონისძიებისა მიაღწიოს ჩანკაიშელთა ევაკუაციას, მათი ძალები შანის სახელმწიფოს ჩრდილოეთ ნაწილში ჯერ კიდევ 6.000 კაცს შეადგენს. ჩანკაიშელთა აგრესიასთან დაკავშირებით შანის სახელმწიფოში სამხედრო წესები იყო გამოცხადებული 20 თვის განმავლობაში — 1952 წლის ბოლოდან 1954 წლის ივლისამდე.

ეკონომიურად შანის სახელმწიფო წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო რაიონს, რომელსაც მოჰყავს ჩაი, თამბაქო, ბოსტნეული. ჯერ კიდევ უმნიშვნელოდ მუშავდება ტყის სიმდიდრეები.

შანის სახელმწიფოში ჩასული საბჭოთა სტუმრები დაეშვნენ ჰეჰოს აეროდრომზე, შანის სახელმწიფოს დედაქალაქის — ქალაქ ტაუნგჯის ახლოს. აქ მათ შეხვდნენ ბირმის კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი და შანის სახელმწიფოს საქმეთა მინისტრი საო კუნ ჩო, რომელიც ამავე დროს შანის სახელმწიფოს მეთაურია. მასთან ერთად იყვნენ მინისტრები და სახელმწიფოს უმაღლესი მოხელეები. ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს თან ახლდნენ სსრ კავშირის ელჩი ბირმაში ა. დ. შჩიბორინი და ბირმის ელჩი სსრ კავშირში უ მონგ ონი.

აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. სამხედრო ორკესტრმა შეასრულა სსრ კავშირისა და ბირმის კავშირის ჰიმნები. სპეციალურად მოწყობილ შანის ორნამენტიან ფარდულში სტუმრებს წარუდგინეს შანის სახელმწიფოს მთავრობის მოღვაწეები. ქალიშვილებმა და ბავშვებმა სტუმრებს მიართვეს ყვავილების გირლანდები და თაიგულები.

აეროდრომიდან სტუმრები ავტომანქანებით გაემართნენ პირდაპირ ინლეს ტბისაკენ, რომელიც ბირმის ერთ-ერთი უდიდესი ტბაა და მდებარეობს შანის ზეგნის მწვანე გორაკებს შუა. ტბის ნაპირას მდებარე დაბა იაუნგვეში, რომლის მთელი მოსახლეობა სადღესასწაულოდ გამოწყობილიყო და ყვავილებითა და ალმებით ხელში ელოდა სტუმრებს ქუჩებში, ნ. ს. ხრუშჩოვი და ნ. ა. ბულგანინი გადასხდნენ მორთულ „სამეფო კარეტაზე“, რომელმაც ლელისა და ლოტოსის შალდამის გავლით მიიყვანა ისინი ტბის ცენტრამდე, სადაც ხიმინჯებზე დადგმული ფარდულებიანი ფიცარნაგები მაყურებელთათვის. კარეტაი ტბაზე 10 ნავით მიჰყავდა თეთრად გამოწყობილ 800 მენავეს — ინტას ეროვნების გლეხებს, რომლებიც სახლობენ ტბის მახლობლად მდებარე სოფლებში და რომლებიც ძველთაგანვე განთქმული არიან ნიჩბოსნობის განსაკუთრებული ოსტატობით.

ტბის ცენტრში, სტუმრებისათვის გაკეთებული ფიცარნაგების წინ მრავალ ადგილობრივ მცხოვრებს მოეყარა თავი. საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად გაიმართა წყალჯომარდობის ეროვნული დღესასწაული. მოეწყო ადგილობრივი მენავეების — მამაკაცებისა და ქალების შეჯიბრება, მუსიკალური და ცეკვავ გამოსვლები მცურავ ფიცარნაგებზე.

ინლეს ტბაზე წყალჯომარდობის თავისებური ეროვნული დღესასწაულის იშვიათმა სანახაობამ დამსწრეთა აღტაცება გამოიწვია.

დღესასწაულის დამთავრების შემდეგ ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა პრიზები გადასცეს ამ არაჩვეულებრივ სანაოსნო შეჯიბრებაში გამარჯვებულებს, რის შემდეგ სტუმრები „სამეფო კარეტაით“ გაემართნენ დაბა იაუნგვეს; აქედან სტუმრები ავტომობილებით წავიდნენ შანის სახელმწიფოს დედაქალაქ ტაუნგჯში, რომელიც ტბიდან 30 კილომეტრზე მდებარეობს.

3 დეკემბრის ღამე სტუმრებმა შანის სახელმწიფოს მეთაურის რეზიდენციაში გაატარეს, ხოლო დილით დატოვეს ტაუნგჯი. დაბრუნდნენ რა ჰეჰოს აეროდრომზე, ისინი იქიდან გაფრინდნენ მანდალაიში, სიდიდით რანგუნის შემდეგ ბირმის მეორე ქალაქში, ბირმის სამეფოს წინანდელ დედაქალაქში, რომელიც ბირმის დამოუკიდებლობის უკანასკნელი დასაყრდენი იყო, სანამ ქვეყნის ამ ნაწილს დაიპყრობდნენ ინგლისელები გასული საუკუნის მეორე ნახევარში. მანდალაი მდებარეობს 700 კილომეტრზე რანგუნის ჩრდილოეთით ქვეყნის უმნიშვნელოვანეს სამდინარო არტერიაზე — მდინარე ირავადზე. მეორე მსოფლიო ომის დროს ეს ქალაქი დაბომბილ იქნა ინგლის-ამერიკის ავიაციის მიერ, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად დაინგრა. მანდალაიში მოთავსებულია ბირმის ჩრდილოეთის სამხედრო ოლქის სარდლობა.

მანდალაის აეროდრომზე ნ. ა. ბულგანინს და ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდნენ ბირმის კავშირის თავდაცვის მინისტრი უ ბა სვე, უმაღლესი სამხედრო სარდლობისა და ოლქის სამხედრო ხელისუფალთა წარმომადგენლები. აეროდრომზე ჩამწკრივებული საპატიო ყარაულის ჩამოვლის, ჰიმნების შესრულების, სტუმრებისათვის ოფიციალური პირების წარდგენის შემდეგ ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი გადავიდნენ სპეციალურად აგებულ სადღესასწაულო ფარდულში, რომელიც მდიდრულად იყო მორთული ფერადი კოლიტის ეროვნული ორნამენტითა და სსრ კავშირისა და ბირმის ალმებით.

აქ მანდალაის ხელისუფალთა და საზოგადოებრიობის რამდენიმე ასეული წარმომადგენლის თანადასწრებით გაიმართა სამოქალაქო დარბაზობა საბჭოთა ხელმძღვანელების პატივსაცემად. მიტინგის ტრიბუნაზე ნ. ს. ხრუშჩოვის და ნ. ა. ბულგანინის გვერდით იყვნენ ბირმის თავდაცვის მინისტრი უ ბა სვე, შინაგან საქმეთა მინისტრი ბო კინ მაუნგ გალე, ბირმის კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი ე ვინი, მანდალაის მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარე (მერი) უ ჯო ნიუნტი. მანდალაის მერმა გამოაქვეყნა სტუმრებისადმი მისასალმებელი მიმართვა და გადასცა მათ ადრესის ტექსტი. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ნ. ა. ბულგანინმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირსა და ბირმას შორის მეგობრული ურთიერთობისა და ნდობის განმტკიცებას მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებისათვის.

შემდეგ სტუმრებმა მანქანებით გაიარეს ქალაქი, ჩერდებოდნენ მორთულ თაღებთან, სადაც ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს გულითადად მიესალმებოდნენ ქალაქის მცხოვრებნი. ჭრელტანსაცმლიან ხალხში მოჩანდნენ ბუდისტი ბერები თავიანთი ღია ნარინჯისფერი ტანსაცმლით. ხალხში, რომელიც საბჭოთა ხელმძღვანელებს მიესალმებოდა, განსაკუთრებით ბევრი იყო ბავშვები. ქალაქის ცენტრში შემხვედრთა მსა მჭიდრო რიგებად ჩამწკრივებულიყო ქუჩების გაყოლებით, რომლებიც მორთული იყო ალმებით და ლოზუნგებიანი ტილოებით.

მდინარე ირავადის ნავსადგურთან მისვლის შემდეგ სტუმრებმა გაისეირნეს გემ „მინდონით“. უფრო გვიან ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი მანდალაიდან ავტომანქანებით გაემგზავრნენ მთის საკურორტო ქალაქ მაიმიოში, მანდალაიდან 70 კილომეტრზე, სადაც 4 დეკემბრის საღამო გაატარეს.

ᲓᲐᲠᲒᲐᲯᲝᲑᲐ ᲨᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲗᲐᲜ

ტაუნგჯი, 4 დეკემბერი. (საკადესის სპეც. კორ.). (მიღებულია დაგვიანებით). 3 დეკემბერს საღამოს შანის სახელმწიფოს მეთაურმა საო კუნ ჩომ სადილი გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად. დარბაზობაზე იყვნენ შანის სახელმწიფოს მთავრობის მოღვაწეები — მინისტრები, საკანონმდებლო საბჭოს წევრები და სხვა ოფიციალური პირები. სადილის დასასრულს საო კუნ ჩომ წარმოთქვა სადღეგრძელო საბჭოთა ხელმძღვანელებისა, რომლებიც შანის სახელმწიფოს ეწვივნენ. მან გაიხსენა გულითადი შეხვედრა, რაც ბირმის კავშირის პრემიერ მინისტრს უ ნუს მოუწყეს საბჭოთა კავშირში, და იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელების ვიზიტი განამტკიცებს ბირმისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობასა და თანამშრომლობას.

ნ. ა. ბულგანინმა წარმოთქვა ბირმის კავშირის პრეზიდენტის, ბირმის პრემიერ-მინისტრისა და შანის სახელმწიფოს მეთაურის საპასუხო სადღეგრძელო. მიმართა რა საო კუნ ჩოს, ნ. ა. ბულგანინმა მადლობა გადაუხადა გულითადი მიღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის, რაც მას და ნ. ს. ხრუშჩოვს შანის სახელმწიფოში აღმოუჩინეს.

ჩვენ, საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს, თქვა ნ. ა. ბულგანინმა, ძლიერ გვესიამოვნა თქვენი ხალხის მიერ გამოთქმული მხურვალე, გულწრფელი გრძნობები, რომლებითაც ჩვენ შეგვხვდნენ მშვენიერ ტბაზე ნავებით წარმტაცი შეჯიბრების დროს. ეს გრძნობები ჩვენდამი მიგვაჩნია ჩვენი ხალხების მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად. მოსკოვს ჩვენ გვაშორებს მთები და ათასობით კილომეტრი სივრცე. მაგრამ თქვენთან ყოფნისას ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ჩვენი ხალხები, მიუხედავად მანძილისა, რომელიც მათ ერთმანეთს აშორებს, მეგობრები არიან. მათ აერთიანებთ საერთო მისწრაფება ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისადმი.

შემდეგ სიტყვა აიღო ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელმაც თქვა:

მეგობრებო, ძმებო!

მე სავსებით ვეთანხმები ყოველივეს, რაც აქ ჩემმა მეგობარმა ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინმა თქვა. ჩვენ დღეს აღგვაფრთოვანა და გაგვახარა იმ გულთბილმა შეხვედრამ, რომელიც თქვენ და თქვენმა ხალხმა მოგვიწყეთ. (ტაში). ჩვენ დიდი სიხარულით ვგრძნობდით ბირმელი ხალხის ძმურ სიყვარულსა და გულწრფელ გრძნობებს საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი, ჩვენი ქვეყნისადმი. (ხანგრძლივი ტაში).

რატომ წარმოიშვა ასეთი სიყვარული საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა ხალხისადმი? მე ვფიქრობ, იგი წარმოიშვა იმიტომ, რომ ჩვენმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავის ხელში აიღო ძალაუფლება და ააშენა მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო. მუშებმა, გლეხებმა და მშრომელმა ინტელიგენციამ გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღეს ყველა მჩაგვრელის წინააღმდეგ და თავიანთი პარტიის ხელმძღვანელობით დიდი შედეგები მოიპოვეს. საბჭოთა ხალხმა მთელ მსოფლიოს უჩვენა, თუ რა შეუძლია მშრომელ ხალხს, როცა იგი იბრძვის თავისი სასიცოცხლო ინტერესებისათვის, თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, თავისი სამშობლოსათვის. (ხანგრძლივი ტაში).

წინათ, ჩვენი სახელმწიფოს დაარსებამდე, მშრომელ მასებს უნერგავდნენ, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელობა შეუძლიათ იმათ, ვინც თითქოს ამისათვის ღმერთმა აირჩია. ხოლო უბრალო ადამიანებს, რომლებიც დაბადებული არიან გლეხთა ქოხებსა და მუშათა უბნებში, ამის უნარი არა აქვთ. ჩვენმა სახელმწიფომ კი აჩვენა და დაამტკიცა, რომ თუ ხალხის მასებს განათლებას მივცემთ, ყოველ ადამიანს შეუძლია აქტიური მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში.

ჩემზე ძლიერ ნაწყენია ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთი ინდოეთსა და ბირმაში გამოსვლებისათვის. მაგრამ მათი სიამოვნებისათვის როდი გამოვდივარ აქ. (გამოცოცხლება დამსწრეთა შორის, ტაში).

რატომ არიან ისინი უკმაყოფილონი? იმიტომ, რომ მე არ შემიძლია მოწონებით ვილაპარაკო კოლონიზატორებზე. აი თქვენ მრავალი ათეული წლის განმავლობაში კისერზე გასხდნენ უცხო კოლონიზატორები და ძარცვავდნენ თქვენს ქვეყანას. ისინი ამბობენ, ეს იმისათვის კეთდებოდა, რომ ბირმელი ხალხის ცივილიზაცია აგვემაღლებინაო. (გამოცოცხლება დამსწრეთა შორის).

ჩვენ კი სხვას ვამბობთ — კოლონიზატორები თქვენს ქვეყანაში იმისათვის იყვნენ, რომ ეძარცვათ ხალხი, უკანასკნელი ლუკმაპური წაერთმიათ მისთვის. აი ამიტომ ზოგიერთი ქვეყნის გაზეთებს არ მოსწონთ ასეთი გამოსვლები. სიმართლე თვალსა სჭრის.

მაგრამ მე ისეთი კაცი როდი ვარ, რომ სიცრუე ვთქვა, მე მშრომელი ხალხისა და კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი ვარ და ვერაფერს ვერ ვიტყვი კოლონიზატორთა დასაცავად. (გამოცოცხლება დამსწრეთა შორის. ხანგრძლივი ტაში).

საბჭოთა ხალხს გულწრფელად ახარებს, რომ თქვენ მოიშორეთ კოლონიური უღელი და ახლა აშენებთ თქვენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ჩვენ მზად ვართ დაგეხმაროთ თქვენს განვითარებაში, რათა კოლონიზატორები კვლავ აღარასოდეს არ დაგასხდნენ კისერზე. ჩვენ გვსურს, რომ თქვენ შრომობდეთ თქვენთვის, თქვენი შვილებისათვის, იმაღლებდეთ კულტურას, რომ ძლიერი და დამოუკიდებელი იყოთ. (მქუხარე ტაში).

ეს არის ჩვენი გულწრფელი სურვილი თქვენდამი, მეგობრებო. ასე შეუძლიათ ისურვონ მხოლოდ იმათ, ვინც თვითონ იყო ჩაგრული.

მე თვითონ მუშებიდან ვარ გამოსული. რევოლუციამდელ რუსეთში ვმუშაობდი ინგლისელი, ფრანგი და სხვა კაპიტალისტებისათვის, რომლებსაც თავიანთი ფაბრიკები და შახტები ჰქონდათ დ

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ბირმაში

(დასასრული).

ჩვენ შორის ბევრი როდია ისეთი, რომ საბჭოთა კავშირში ყოფილიყოს. მაგრამ ის მცირერიცხოვანი ბედნიერი ადამიანები, რომლებიც იქ იყვნენ, შთაგონებით აღსავსენი დაბრუნდნენ. ჩვენთვის ხშირად უამბნიათ თქვენი ხალხის მეგობრობაზე, მისი ლიდერების თავდადებაზე და მშვიდობის ერთსულოვან სურვილზე. საბჭოთა კავშირის მიღწევები დიდია, და ბევრი რამ არის, რაც საბჭოთა კავშირს შეუძლია ასწავლოს და უკვე ასწავლა კიდეც მსოფლიოს.

ჩვენ ბედნიერი ვართ, განაგრძო მერმა, რომ თქვენ ჩვენ შორის ხართ. ხალხი სულით და გულით მოგესალმებათ, და ჩვენ გვსურს, რომ თქვენი აქ ყოფნა სასიამოვნო იყოს, რომ თქვენ თან წაიღოთ კარგი მოგონება ბირმისა და ბირმელების შესახებ. თქვენი ეს ვიზიტი დარჩება ჩვენს მეხსიერებაში, როგორც ბირმელებისადმი საბჭოთა კავშირის ხალხის მეგობრობისა და კეთილი ნების გამოვლინება, და ეს მოვლენა კიდევ უფრო მჭიდროს გახდის ამ ორი ხალხის ურთიერთობას.

დაე სამარადისო იყოს ეს მეგობრობა!

* * *

შემდეგ მანდალაის მოქალაქეებს საპასუხო სიტყვით მიმართა ნ. ა. ბულგანინმა.

ნ. ა. ბულგანინის სიტყვა

თქვენო აღმატებულებავ! ბატონო მერო! პატივცემულო მოქალაქენო! ჩვენ მოხარული ვართ შემოვდგათ ფეხი ბირმის სახელმწიფოს ძველი დედაქალაქის — მანდალაის, იმ ქალაქის მიწაზე, რომელიც ცნობილია თავისი საბელოვანი წარსულით. ქალაქი მანდალაი, რომელიც მდებარეობს ამ ქვეყნის ცენტრში მის ძირითად სასიცოცხლო არტერიაზე — დიდ მდინარე ირავადზე, არის ცენტრი ბირმელი ხალხის ძველი და მდიდარი კულტურისა, რომლის დაცვისა და განვითარების საქმესაც წარმატებით უწყობენ ხელს აქ არსებული კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულებანი.

ჩვენ, ბატონო მერო, მივესალმებით თქვენს განცხადებას, რომ მტკიცე გადაწყვეტილებამ — თქვენს ქვეყანას შეუნარჩუნოთ თავისუფლება, რომელსაც თქვენ „მანდალაის სულისკვეთებას“ უწოდებთ, გაიმარჯვა, და სახელოვანი მანდალაი კვლავ გახდა თავისუფალი ქალაქი თავისუფალ ქვეყანაში, რომელმაც დაამსხვრია კოლონიური დამოკიდებულების ბორკილი.

ამასთანავე არ შეგვიძლია არ გამოვთქვათ ჩვენი თანაგრძნობა იმის გამო, რომ თქვენი მშვენიერი ქალაქი ძლიერ დაზარალებულა მეორე მსოფლიო ომის შედეგად და, კერძოდ, დანგრეულა მეფის სასახლე — მანდალაის ისტორიული და არქიტექტურული სიამაყე. თქვენ, უეჭველია, მოგეხსენებათ, რომ ბევრი ჩვენი ქალაქიც საშინლად დაინგრა და ნანგრევებად იქცა. საბჭოთა ხალხმა, რომელმაც თავდადებული შრომით აღადგინა ახლა ეს ქალაქები და სოფლები, კარგად იცის, რაოდენ დამღუპველია ომი და რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბრძოლას მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. ჩვენ დიდად ვიფიცებთ იმას, რომ ბირმელი ხალხი ჩვენი ხალხის მხარდამხარ იბრძვის მშვიდობის საქმისათვის, ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ.

ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ბირმელმა ხალხმა მოიწონა მოსკოვში მიმდინარე წლის 3 ნოემბერს ხელმოწერილ საბჭოთა კავშირ-ბირმის ერთობლივ განცხადებაში გამოთქმული დაგმობა ბლოკების შეკოწიწების პოლიტიკისა და იმის აღიარება, რომ ბლოკებში შეუსვლელობის პოლიტიკა უზრუნველყოფს ხალხების უშიშროებას და ასრულებს დადებითს როლს მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამყარების საქმეში.

როგორც ცნობილია, ჩვენი ხალხების ურთიერთობა ყოველთვის გულწრფელი და მეგობრული იყო, და ახლა კი ურთიერთობა მტკიცედ ემყარება მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთ დიდ პრინციპს, რომლებიც გზას უხსნიან სსრ კავშირსა და ბირმას შორის ფართო ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას ჩვენი ორი ქვეყნის ინტერესებისათვის. ეს პრინციპები დავადასტურეთ ჩვენ მოსკოვში ერთობლივი განცხადებით პრემიერ-მინისტრ უ ნუსთან ერთად, რომელმაც ამ განცხადებას ჩვენი ქვეყნების მეგობრობის ქარტია უწოდა.

ნება მიბოძეთ, ბ-ნო მერო, გამოვთქვა იმედი, რომ ეს ჩვენი ვიზიტი თქვენს მშვენიერ ქვეყანაში ხელს შეუწყობს იმას, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს გულწრფელი მეგობრობისა და ნდობის ურთიერთობა, რაც არსებობს სსრ კავშირსა და ბირმას შორის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებისათვის.

დასასრულ ნება მიბოძეთ დიდი მადლობა მოგახსენოთ იმ გულთბილი მიღებისათვის, რომელიც თქვენ გაგვიწიეთ თქვენს ძველ შესანიშნავ ქალაქში ჩამოსვლისას, აგრეთვე ჩვენი ხალხისა და ჩვენი ქვეყნისადმი მეგობრობისა და მადლობის გამოთქმისათვის.

განმტკიცდეს და განვითარდეს მეგობრობა სსრ კავშირსა და ბირმის კავშირს შორის ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების კეთილშობილური საქმისათვის! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

* * *

საბჭოთა სტუმრების მანდალაიში ყოფნის დროს 4 დეკემბერს, გემ „მინდონით“ ირავადზე გასეირნების შემდეგ ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს ქალაქის მცხოვრებლებმა საჩუქრები მიართვეს, რომლებშიც არის ბირმის ეროვნული მუსიკალური ინსტრუმენტები სრული ბირმული ორკესტრისათვის.

ნ. ა. ბულგანინმა გულითადი მადლობა გადაუხადა ქალაქ მანდალაის წარმომადგენლებს მათი საჩუქრებისათვის. დამსწრეთა ტაშის გრიალში მან თქვა:

ნება მიბოძეთ მადლობა გადაგიხადოთ გულითადობისა და სტუმართმოყვარეობისათვის არა მარტო პირადად ჩემი და ამხანაგ ხრუშჩოვის სახელით, არამედ მთელი საბჭოთა ხალხის სახელითაც, რომლის წარმომადგენლებიც ჩვენა ვართ. მადლობას გიძღვნით თქვენ მიერ გამოთქმული ნდობისა და სიყვარულის გრძნობებისათვის, იმისათვის, რომ თქვენ მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი ჩვენთან ერთად იბრძოლოთ მშვიდობის განსამტკიცებლად.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

მეგობრებო, ძმებო! ნება მიბოძეთ შევუერთდე იმას, რაც აქ უკვე თქვა ჩემმა მეგობარმა ნ. ა. ბულგანინმა. ნება მიბოძეთ მადლობა გადაგიხადოთ საჩუქრებისათვის, გულთბილი, მეგობრული მიღებისათვის.

ყველაზე ძვირფასი საჩუქრები, რომლებსაც თქვენი ქვეყნიდან წავიღებთ, არის მხურვალე გრძნობები, რაც თქვენ გამოთქვით ჩვენს მიმართ, საბჭოთა ხალხის წარმომადგენელთა მიმართ. **(მქუხარე ტაში).** ჩვენი მხრივ გვინდა გამოვთქვათ საუკეთესო სურვილები — გისურვოთ, რომ განამტკიცოთ თქვენი სახელმწიფო, აამაღლოთ კულტურა, უფრო ფართოდ გაავრცელოთ ცოდნა ხალხში, აღზარდოთ თქვენი ინჟინრები, თქვენი ექიმები, თქვენი მასწავლებლები. **(ტაში).** ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი ქვეყანა ივლის წინ და წინ, იმიტომ რომ ეს სურს ხალხს. **(მქუხარე ტაში).**

თქვენი ქვეყანა მდიდარია ბუნებრივი რესურსებით; თქვენ გაქვთ სურვილი ჩინებულად იმუშაოთ სამშობლოს საკეთილდღეოდ, გამოიყენოთ ეს რესურსები. თქვენ გყავთ მუშახელი. თუ სწორად უხელმძღვანელებთ, თქვენ შეგიძლიათ უზრუნველყოთ თქვენი ქვეყნის წარმატებითი განვითარება. **(ტაში).** კოლონიზატორები, რომლებიც თქვენს ქვეყანაში თარეშობდნენ, ხელოვნურად აფერხებდნენ თქვენს განვითარებას. ჩვენ, ევროპელები, ვწოლდებით იმ ევროპელთა მაგიერ, რომლებიც თქვენ გჩაგრავდნენ, რომლებიც თქვენ გძარცვავდნენ. **(გამოცოცხლება დამსწრეთა შორის, ტაში).** მაგრამ ყველა ევროპელი როდი ფიქრობს და მოქმედებს კოლონიზატორებივით, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მათი კანის თეთრი ფერი თითქოს უფლებას აძლევდეს მათ იბატონონ იმათზე, ვისაც შავი კანი აქვს. **(ტაში).**

მინდა დავძინო, რომ ჩვენი ქვეყანა ერთსა და იმავე დროს ევროპულიც არის და აზიურიც. **(ტაში).** ამასთან ჩვენი ტერიტორიის დიდი ნაწილი აზიის კონტინენტზეა. **(ტაში).** საბჭოთა ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ ჩვენი ქვეყნის როგორც ევროპულ, ისე აზიურ ნაწილში, მოგესალმებიან და აყვავებას გისურვებენ თქვენ. **(მქუხარე ტაში).**

მაშ უფრო მჭიდროდ ვითანამშრომლოთ და დავეხმაროთ ერთმანეთს ყველაფერში, რაც თვითეულ ჩვენგანს დასჭირდება. ამასთან მტკიცედ დავიცვათ თვითეული სახელმწიფოს საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი. **(ტაში).** თვითეულმა ხალხმა ისე უნდა მოაწყოს თავისი ცხოვრება, როგორც სურს.

ვიბრძოლოთ ერთად მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ ახალი ომის გაჩაღების შესაძლებლობა.

გისურვებთ წარმატებას თქვენს საქმეებში და ბედნიერებას! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

* * *

რანგუნი, 5 დეკემბერი. **(საკდესის სპეც. კორ.).** 4 დეკემბრის საღამო ამხანაგებმა ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა და მათმა თანმხლებმა პირებმა გაატარეს მაიმიოში, 70 კილომეტრზე მანდალაიდან, სადაც მდებარეობს ბირმის ჩრდილოეთი სამხედრო ოლქის სარდლობის შტაბი. აქ საბჭოთა ხელმძღვანელები ბირმის კავშირის თავდაცვის მინისტრისა და სამხედრო ხელისუფალთა სტუმრები იყვნენ.

4 დეკემბერს ბირმის კავშირის თავდაცვის მინისტრმა უ ბა სვემ, რომელიც ახლდა ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს, მათ პატივსაცემად გამართა სადილი, რომელზეც იყვნენ შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი ნე ვინი და ბირმის სხვა სამხედრო ხელმძღვანელები.

5 დეკემბერს დილით სამხედრო მოედანზე გაიმართა ჯარების პარადი საბჭოთა ხელმძღვანელების პატივსაცემად. მოედანზე ჩამწკრივებული იყვნენ არმიის, ფლოტისა და ავიაციის ნაწილების ქვეგანაყოფები, ჯავშანმანძანებისა და არტილერიის ქვეგანაყოფები. როცა ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი პარადზე მოვიდნენ, შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და ბირმის სახელმწიფო ჰიმნები. პარადი მიიღეს ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომლებმაც ბირმის კავშირის თავდაცვის მინისტრისა და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის თანხლებით სამხედრო ავტომობილებით ჩამოუარეს ჩამწკრივებული ჯარების ფრონტს. მოედანზე გამართული ტრიბუნიდან ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა მოკლე სიტყვებით მიმართეს ბირმის შეიარაღებული ძალების გენერლებს, ოფიცრებსა და ჯარისკაცებს.

ნ. ა. ბულგანინის სიტყვა

სამხედრო პარადზე მაიმიოში

ბატონო თავდაცვის მინისტრო, გენერლებო, ოფიცრებო და ჯარისკაცებო! მადლობას გიძღვნით იმისათვის, რომ შესაძლებლობა მოგვეცით გავცნობოდით თქვენს ჯარებს, მიგვეღო ეს პარადი. ჩვენ აქ მოვედით თქვენთან მეგობრობის ვიზიტით თქვენი პრემიერ-მინისტრის უ ნუს თავაზიანი მოწვევით. ჩვენ სულ რამდენიმე დღე დავყავით თქვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. მაგრამ იმ შეხვედრებმა ბირმელ ხალხთან, რომლებიც ჩვენ ამ დღეებში გვქონდა, ახალი ძალით დაადასტურა, რომ ჩვენს ხალხებს შორის, ჩვენს ქვეყნებს შორის მტკიცე, ურღვევი მეგობრობაა.

საბჭოთა ხალხმა, რომლის წარმომადგენლებიც ჩვენ ვართ, გამოგვგზავნა აქ თქვენთან, რათა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ გვსურს კიდევ უფრო განვამტკიცოთ და განვავითაროთ ეს მეგობრობა, რომელიც ურთიერთსასარგებლოა როგორც ბირმის კავშირისათვის, ისე საბჭოთა კავშირისათვის. მაშ კვლავაც განვამტკიცოთ ჩვენი მეგობრობა, ვიბრძოლოთ ერთად მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის!

გადმოგცემთ პირადად ჩემს და ჩვენთან ერთად ჩამოსული ყველა მეგობრის, მთელი საბჭოთა ხალხის მხურვალე სალამს და თქვენს საქმიანობაში წარმატებათა სურვილს. მივესალმებით თქვენს არმიას, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა, რათა განედევნა უცხოელი დამპყრობნი თქვენი ქვეყნის ტერიტორიიდან. თქვენმა არმიამ დიდი სიძნელეები გადალახა ამ ბრძოლის გზაზე, მაგრამ წარმატებით შეასრულა მის წინაშე მდგარი ამოცანა.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ბირმის კავშირის ხალხთა მეგობრობას!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

სამხედრო პარადზე მაიმიოში

ამხანაგებო, მეგობრებო!

ნება მიბოძეთ სულით და გულით გადაგიხადო მადლობა თავდაცვის მინისტრს ამხანაგ ბა სვეს, რომელმაც მოგვცა შესაძლებლობა შეგხვედროდით თქვენ, ბირმის კავშირის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს.

თქვენს ქვეყანაში რამდენიმე დღეს ყოფნის დროს ბევრი შეხვედრა გვქონდა თქვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელებთან, ბირმელ ხალხთან. ეს ფრიად საინტერესო შეხვედრები იყო. ჩვენ გვახარებს ის, რომ ამ შეხვედრების დროს გამოვლინდა, რომ ჩვენ საერთო შეხედულებანი გვაქვს უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. საბჭოთა კავშირი ახლა მშვიდობიან მშენებლობას ეწევა, ავითარებს თავის ეკონომიკას, კულტურას, აუმჯობესებს ხალხის კეთილდღეობას. ასეთივე ამოცანების გადაწყვეტისაკენ არის მიმართული ახლა ბირმის მთავრობის ღონისძიებანი.

ჩვენ გვსურს მეგობრულად ვიყოთ ყველა ხალხთან, ჩვენ გვსურს მეგობრულად ვიყოთ ბირმის ხალხებთან. და ჩვენ გვახარებს, რომ თქვენ შეგნებული გაქვთ ჩვენი მისწრაფება.

მე მეგობრულად ვუსურვებ შემდგომ ტექნიკურ სრულყოფას ბირმის კავშირის გენერლებს, ოფიცრებსა და ჯარისკაცებს. ჩვენ, ისევე როგორც თქვენ, იძულებული ვართ ვიყოლიოთ შეიარაღებული ძალები. ჩვენ მათ ვზრდით სამშობლოს სიყვარულის სულისკვეთებით, იმ სულისკვეთებით, რომ მზად იყვნენ თავის გასაწირავად, თუ ეს მოითხოვა უცხო დამპყრობთა ხელყოფისაგან სამშობლოს დაცვის ინტერესებმა.

მე ამასვე ვუსურვებ თქვენს შეიარაღებულ ძალებს, რათა ისინი მზად იყვნენ პირნათლად დაიცვან სისხლით მოპოვებული დამოუკიდებლობა. ამისათვის კი უნდა ვისწავლოთ სამხედრო ხელოვნება, ვამზადოთ სამხედრო ხელმძღვანელთა საკუთარი კადრები, განვამტკიცოთ არმიის კავშირი ხალხთან, რათა ეს იყოს ხალხის შეიარაღებული ძალები, რათა ისინი ერთგულად ემსახურებოდნენ ხალხს.

შეიარაღებული ძალების ყოლა ძვირი სიამოვნებაა ყოველი ქვეყნისათვის. მაგრამ ჩვენ იძულებული ვართ გავწიოთ ეს ხარჯები, რადგან ჯერჯერობით არა გვაქვს სხვა ქვეყნების თანხმობა განიარაღებაზე. მაგრამ ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ შევძლებთ მივაღწიოთ ამ ამოცანის გადაწყვეტას. ჩვენ არ დავიშურებთ ღონისძიებებს, რათა მივაღწიოთ ყველა ქვეყნის ურთიერთგაგებას, მივაღწიოთ ცივი ომის შეწყვეტას და ამ გზით მივაღწიოთ შეთანხმებას შეიარაღების შემცირების ან სრული განიარაღების შესახებ, აგრეთვე ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ, ქმედითი საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ.

გაუმარჯოს ბირმისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობას!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

ჯარებმა უპასუხეს ერთსულოვანი მრავალგზისი შეძახილებით: „გაუმარჯოს ბულგანინს, გაუმარჯოს ხრუშჩოვს!“.

* * *

დამსწრე სტუმრებს ადგილები ეკავათ ორ ფარდულს ქვეშ ტრიბუნის ორივე მხარეს. მოედნის ღობის გარშემო იდგნენ მაიმიოს მცხოვრებნი.

ტრიბუნების წინ ცერემონიალური მარშით გაიარეს ჯერ ჯავშანმანძანებმა, მათ მიჰყვნენ არმიის, ფლოტისა და ავიაციის ნაწილების ქვეგანაყოფები ქვეით მწყობრში სამი გვარეობის ჯარის დროშებით, შემდეგ ცხენოსანი და მოტორიზებული არტილერია და, დასასრულ, სანიტარული ნაწილები ავტომანქანებით. პარადს სარდლობდა პოლკოვნიკი სო მინტი. უკრავდა ორი სამხედრო ორკესტრი.

პარადის დამთავრების შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი და ნ. ა. ბულგანინი მანქანებით გაემგზავრნენ მაიმიოს მეზობელ აეროდრომ ანისაკანზე და იქიდან გაფრინდნენ რანგუნს.

საბჭოთა სტუმრები რანგუნში ჩამოვიდნენ დღეს 13 საათზე ადგილობრივი დროით.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი რანგუნში

რანგუნი, 5 დეკემბერი. **(საკდესის სპეც. კორ.).** დღეს ნაშუადღევს ბირმის კავშირის პრეზიდენტმა ბა უმ პრეზიდენტის სასახლის ბაღში დარბაზობა გამართა ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად. დარბაზობაზე იყვნენ ყველა ის პირნი, რომლებიც ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს ახლავან ბირმაში მათი მოგზაურობის დროს. ბირმის მხრივ იყვნენ: ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი უ ნუ, მთავრობის წევრები, მთავრობის დაწესებულებათა მაღალი თანამდებობის მოხელეები. სტუმრებს შორის იყვნენ აგრეთვე დიპლომატიური კორპუსის წევრები. დარბაზობის დროს გაიმართა ბირმული მუსიკისა და ცეკვის კონცერტი. მსახიობებმა ყვავილები მიართვეს ნ. ს. ხრუშჩოვსა და ნ. ა. ბულგანინს.

საღამოს სსრ კავშირის ელჩმა ბირმის კავშირში ა. დ. შჩიბორინმა სადილი გამართა ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ბირმაში ყოფნის გამო. სადილზე იყვნენ: ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი უ ნუ და მისი მეუღლე, საგარეო საქმეთა მინისტრი საო კუნ ჩო, მრეწველობის მინისტრი უ ჯო ნეინი, ვაჭრობის განვითარების მინისტრი უ რაშიდი, ფინანსთა მინისტრი უ ტინა, მიწის ნაციონალიზაციის მინისტრი ტაკინ ტინი, ბირმის პარლამენტის ეროვნებათა პალატის სპიკერი საო შვე ტაიკი, ბირმის ელჩი სსრ კავშირში უ მონგ ონი, ბირმის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში უ ხლა მაუნგი, დარბაზობაზე აგრეთვე იყვნენ: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი იაო ჯუნ-მინი და ინდოეთის ელჩი საქსენი. საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ: ა. ა. გრომიკო, პ. ნ. კუმიკინი, დ. რ. რასულოვი, ზ. რახიმბაბაევა, ი. ა. სეროვი და ბირმაში სსრ კავშირის საელჩოს ნრჩეველი მ. ს. ვავილოვი.

ჯ. ე. ვოროშილოვის, ა. ი. მიკოიანისა და ვ. მ. მოლოტოვის შეხვედრა ავსტრიის პარლამენტის დელეგაციის წევრებთან

3 დეკემბერს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. მიკოიანის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის შეხვედრა ავსტრიის პარლამენტის დელეგაციის წევრებთან, რომლებიც საბჭოთა კავშირში სტუმრად არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

შეხვედრაზე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი და ავსტრიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ნ. ბიშოფი.

მიესალმა რა სტუმრებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა თავრობის სახელით, კ. ე. ვოროშილოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეყნებს შორის საპარლამენტო დელეგაციების და სხვადასხვა დელეგაციების გაცვლა აახლოებს ხალხებს, ხელს უწყობს შეწყვეტილი ურთიერთობის განახლებას ან ახალი ურთიერთობის დამყარებას. ეს არა მარტო ანელებს საერთაშორისო დაძაბულობას, არამედ აგრეთვე ქმნის საფუძველს გონივრული ადამიანური და მეგობრული ურთიერთობისათვის, როცა ყველა საკითხი შეიძლება გადაიჭრას ურთიერთგაგების სულისკვეთებით.

კ. ე. ვოროშილოვმა სურვილი გამოთქვა მოისმინონ სტუმართა შთაბეჭდილებანი საბჭოთა ქვეყანაში მათი ყოფნის შესახებ.

გამოთქვა რა დიდი კმაყოფილება იმის გამო, რომ შესაძლებლობა მიეცათ შეხვედროდნენ საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს, დელეგაციის მეთაურმა ფედერალური საბჭოს თავმჯდომარემ ა. ფრიშმა ილაპარაკა საბჭოთა საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან დელეგაციის წევრების შეხვედრებზე. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა ქვეყანაში მოგზაურობის დროს ავსტრიის პარლამენტარებმა გაიარეს გზა, რომელიც 10 ათას კილომეტრს აღემატება, და იყვნენ ბევრ ქალაქში. მათ მიიღეს საკმაოდ სრული შთაბეჭდილება საბჭოთა კავშირის მასშტაბებზე, იყვნენ საწარმოებში, ნახეს კოლმეურნეობები, ესაუბრნენ სახელმწიფო მოღვაწეებსა და უბრალო ადამიანებს. ასეთმა შეხვედრებმა საბჭოთა ხალხთან დაადასტურა, ხაზგასმით აღნიშნა ა. ფრიშმა, რომ ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს მეგობრები ვუწოდოთ. მე მგონია, თქვა მან, რომ ბევრი ცრუ აზრი და გაუგებრობა, რომლებიც არასწორ პროპაგანდას ემყარებოდნენ, ახლა მოსპობილია, და ამით მიღწეულია საბჭოთა კავშირში ჩვენი მგზავრობის მიზანი.

— პირობას გაძლევთ, — თქვა ა. ფრიშმა, მიმართა რა ამხანაგებს კ. ე. ვოროშილოვს, ა. ი. მიკოიანსა და ვ. მ. მოლოტოვს, — რომ ვაცნობებთ ჩვენს კოლეგებს პარლამენტში და ჩვენს ამომრჩევლებს, რაც აქ ვნახეთ, გავიგონეთ და ვიგრძენით.

შემდეგ ავსტრიის დელეგაციის ხელმძღვანელმა აზრი გამოთქვა, რომ საბჭოთა ხელშეკრულებამ დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ კარგი საფუძველი ჩაუყარა ორივე ქვეყნის ურთიერთობის გაფართოებასა და განმტკიცებას, ხოლო ავსტრიასა და სსრ კავშირს შორის მზარდი ეკონომიური ურთიერთობა ხელს შეუწყობს მათს უფრო მეტ დაახლოებას.

მეგობრული საუბრის დროს, რამაც საათნახევარს გასტანა, ავსტრიის პარლამენტის დეპუტატებმა ილაპარაკეს თავიანთ შთაბეჭდილებებზე, რომლებიც ისინი საბჭოთა კავშირს ტოვებენ.

ვენის უმაღლესი ტექნიკური სკოლის პროფესორმა ა. დუშეკმა, რომელიც საბჭოთა კავშირში 21 წლის წინათ იყო, თქვა, რომ იგი გააოცა მშენებლობის უდიდესმა გაქანებამ მოსკოვში, აგრეთვე დიდმა ზრუნვამ, რასაც საბჭოთა მთავრობა იჩენს ხალხის შემოქმედებითი ნიჭის განვითარებისათვის. მან აზრი გამოთქვა ავსტრიისა და საბჭოთა კავშირის მეცნიერთა შორის ურთიერთობის გაფართოების სასარგებლოდ.

ამასთან დაკავშირებით ვ. მ. მოლოტოვმა განაცხადა, რომ ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირს არ მიუღია დადებითი გადაწყვეტილება ქვეყნებს შორის კონტაქტების განვითარების შესახებ, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ის, რის გაკეთებაც დღეს ვერ მოხერხდა, ხვალ არ მოხერხდეს. საბჭოთა მთავრობას სურს განავითაროს და ხელი შეუწყოს საბჭოთა მეცნიერებს, საზოგადო მოღვაწეებისა და ხელოვნების მოღვაწეების კონტაქტებს სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებთან, და ჩვენ ამას გავაკეთებთ, თქვა ვ. მ. მოლოტოვმა, მთელი სიმტკიცით და ენერგიით. ჩვენი მიზანია, რომ ეს კონტაქტები სასარგებლო იყოს როგორც ჩვენი ქვეყნისათვის, ისე სხვა ქვეყნებისთვისაც, ხელს უწყობდეს სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის უკეთეს ურთიერთგაგებას, თანამშრომლობასა და მეგობრობას.

როგორც ეროვნული საბჭოს დეპუტატმა ი. გრისნერმა ხაზგასმით აღნიშნა, იგი დარწმუნდა იმაში, რომ სოფლის მეურნეობამ სსრ კავშირში უდიდეს პროგრესს მიაღწია ტექნიკის გამოყენებისა და იმის მეოხებით, რომ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ჰყავს. მან სურვილი გამოთქვა, რომ ავსტრიის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა დაწვრილებით გაიცნონ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მიღწევები.

იმ გულთბილ, გულითად მიღებაზე, რომელიც ყველგან მოუწყეს ავსტრიის დელეგაციას, ილაპარაკა რ. მარხნერმა. ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ ავსტრიელ ხალხს, ხაზგასმით აღნიშნა მან, რომ საბჭოთა ადამიანები მეგობრულად ეპყრობიან მას. საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ თავიანთი შთაბეჭდილებანი გამოთქვეს აგრეთვე დელეგაციის წევრებმა ფ. ფლოსმანმა, ა. მალეტამ, რ. როტმა.

ავსტრიის პარლამენტის დელეგაციის წევრები დიდი ინტერესით შეხვდნენ ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლას.

— იმ ურთიერთობას, რომელიც ახლა შეიქმნა წელს დადებული ხელშეკრულების ბაზაზე, — თქვა ვ. მ. მოლოტოვმა, — დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ორივე ქვეყნისათვის. ძალ დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მთლიანად ევროპის სახელმწიფოებისათვის. როგორც თქვენთვის ცნობილია, წინადადება იმის შესახებ, რომ ავსტრიამ ოფიციალურად დაიკავოს ნეიტრალიტეტის პოზიცია, წამოყენებული იყო საბჭოთა კავშირის ინიციატივით. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს წინადადება შეეფერება ავსტრიისა და ავსტრიელი ხალხის ინტერესებს და, ამასთან ერთად, ევროპის მშვიდობის ინტერესებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ როცა ახლა შვეიცარიის გვერდით არის მეორე ნეიტრალური სახელმწიფო ევროპაში, — ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა ხალხისათვის. ჩვენ ვწინააღმდეგებით მთელ მსოფლიოსა და, განსაკუთრებით ევროპაში სამხედრო დაჯგუფებათა შექმნას, რადგან სწორედ ევროპაში სხვადასხვა სამხედრო დაჯგუფებათა შექმნის შედეგად დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და მეორე მსოფლიო ომი.

ვ. მ. მოლოტოვმა რწმენა გამოთქვა, რომ ნეიტრალიტეტის ის პოლიტიკა, რომელიც ავსტრიამ მიიღო და რომელიც შეეფერება ავსტრიელი ხალხის ინტერესებსა და გრძნობებს, თანმიმდევრულად და პატიოსნად განხორციელდება. ამ საფუძველზე, თქვა ვ. მ. მოლოტოვმა, ჩვენ თქვენი მეგობრები ვართ ყველა დარგში — პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ დარგებში. ნება მიბოძეთ რწმენა გამოვთქვა, რომ კვლავაც ვიმოქმედებთ ერთობლივად იმ ფორმებით და იმ შესაძლებლობით, რომლებსაც ურთიერთ მისაღებად მივიჩნევთ.

ა. ი. მიკოიანი შეუერთდა იმას, რაც ვ. მ. მოლოტოვმა თქვა, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ავსტრიისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში არ არის გადაუჭრელი საკითხები, რომ საბჭოთა მთავრობა წმიდად ასრულებს არსებული ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით ნაკისრ ყველა ვალდებულებას. ამასთან ჩვენ ვემყარებით იმას, რომ ავსტრიის მზარე აგრეთვე დაიცავს დადებულ ხელშეკრულებებს. საჭიროა, თქვა ა. ი. მიკოიანმა, აღმოვფხვრათ ჩვენს ურთიერთობაში უნდობლობისა და წინაზრახვის ნაშთები. ამისათვის საჭიროა მეტი კონტაქტი და პატიოსანი ინფორმაცია. და ამას ცოტათი როდი უნდა შეუწყოს ხელი ავსტრიის პარლამენტის დელეგაციის მგზავრობამ სსრ კავშირში.

საუბრის დასასრულს კ. ე. ვოროშილოვმა მადლობა გადაუხადა ავსტრიის დელეგაციის წევრებს საბჭოთა ქვეყნის შესახებ გამოთქმული საინტერესო და გულწრფელი აზრებისათვის და განაცხადა, რომ ავსტრიისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა საჭიროა დაუცხრომლად მტკიცდებოდეს, ურღვევი და მუდმივი გახდეს.

გამოეთხოვა რა ავსტრიელ პარლამენტარებს, კ. ე. ვოროშილოვმა სთხოვა მათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით გულითადი სალამი გადასცენ ავსტრიის პარლამენტს და ავსტრიის სახელმწიფოს ხელმძღვანელებს — ფედერალურ პრეზიდენტს ბ-ნ ტ. კერნერს და ფედერალურ კანცლერს ბ-ნ ი. რაბს. (საკდესი).

(„პრავდა“, 1955 წლის 4 დეკემბერი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრისათვის ს. გ. შაუმიანის სახელის მიკუთვნების შესახებ

დაკმაყოფილდეს თბილისის სომხური დ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა არქიტექტორების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა სულისდგმელებსა და ორგანიზატორებს.

საბჭოთა არქიტექტორები — ყრილობის დელეგატები, წარმომადგენელნი ყველა მოკავშირე მოძმე რესპუბლიკისა, რომლებიც ჩვენი დიდი მრავალეროვანი სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიან, დიდ მადლობას უძღვნიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მათი ბრძნული ხელმძღვანელობისათვის საბჭოთა არქიტექტურის განვითარებისადმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ყველა დოკუმენტში მშენებლობისა და არქიტექტურის საკითხებზე, მათ შორის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 ნოემბრის დადგენილებაში „დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობის აღმოფხვრის შესახებ“, თანმიმდევრულად და ღრმად გამოხატულია პარტიისა და მთავრობის ხაზი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება საბჭოთა არქიტექტორების მეორე ყრილობისადმი დიდი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელიც კიდევ უფრო შეამჭიდროებს საბჭოთა არქიტექტორების კოლექტივს დარაზმავს მას ჩვენს ქვეყანაში არქიტექტურულ-სამშენებლო საქმის ძლიერი გაუმჯობესების ამოცანების შესასრულებლად.

ასრულებს რა დიდი ლენინის მითითებებს, საბჭოთა ხალხი კომუნისტურ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით ავითარებს მძლავრ ეკონომიკურ მრეწველობას — ჩვენი ძლიერებისა და კეთილდღეობის საფუძველს, ამაღლებს და ავითარებს სამრეწველო წარმოების სხვა სახეობებს, ამაღლებს და განამტკიცებს სოფლის მეურნეობას, აწარმოებს უდიდეს საბინაო კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას, რომლითაც გამოიხატება ამ პარტიისა და მთავრობის ზრუნვა საბჭოთა ხალხის განუწყვეტლივ ზრდადი მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა-თვის.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით ნებაყოფლობა ხალხმა წარმატებით შეასრულა სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმა და გადაჭარბებით ასრულებს მას ყველა მაჩვენებლის მიხედვით, ავითარებს სოციალისტურ შეჯიბრებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალი XX ყრილობის აღსანიშნავად.

ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა მშენებლებმა დიდი მუშაობა გასწიეს. ფაშისტების მიერ დანგრეული სამრეწველო საწარმოები, ქალაქები და სოფლები აღდგენილ იქნა უმაგალითოდ მოკლე ვადებში.

გრანდიოზული აღდგენითი მშენებლობა და ჩვენი ქალაქებისა და სოფლების შემდგომი განვითარება დაკავშირებული იყო კაპიტალური მშენებლობის გიგანტურ მოცულობასთან. ამ სამუშაოთა წარმატებაში დიდი როლი ითამაშეს საბჭოთა არქიტექტორებს, რომლებიც თავდადებით შრომობდნენ ასევე მშენებელთან ერთად.

მაგრამ საბჭოთა არქიტექტურაში, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოავლინეს, ბევრი არქიტექტორისა და საპროექტო ორგანიზაციის მუშაობაში იყო დიდი ნაკლოვანებანი და შეცდომები, რომლებიც გამოიხატა არქიტექტურის გარეგნულ-ჩვენებითი მხარით გატაცებით, დიდი ზედმეტობით, რაც დაშვებულია მოსახლეობისათვის მოხერხებულობის შექმნის, შენობათა ეკონომიკისა და ნორმალური ექსპლოატაციის მოთხოვნების საზიანოდ, ადგილობრივ, სასოფლო-სამეურნეო და საბინაო არქიტექტურის უგულებელყოფით. ეს შეცდომები არქიტექტურაში იყო ბევრი არქიტექტორის მუშაობაზე მიმართულების, მათ მიერ არქიტექტურის ამოცანების ცალმხრივი გაგების, კლასიკური მემკვიდრეობის როლის გაზვიადებისა და დამახინჯების, ინდუსტრიული მშენებლობის მოთხოვნების უგულებელყოფის შედეგი.

საბჭოთა არქიტექტურის შემოქმედებითი ამოცანებისა და ჩვენ მიერ მიღებული შეცდომების კრიტიკულმა განხილვამ არქიტექტორების რესპუბლიკურ ყრილობებზე, საქალაქო კონფერენციებსა და მეორე სრულიად საკავშირო ყრილობაზე ცხადყო, რომ ეს გადახვევები პარტიისა და მთავრობის ბრძანებიდან არქიტექტურულ-სამშენებლო საქმეში ფართოდ იყო გავრცელებული არქიტექტორთა საქმიანობაში.

ქალაქების მშენებლობისას მშრომელთა ცხოვრებისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობების შექმნას, მოხერხებული გამწვანებული უბნების მოწყობას, ზომირად ცვლიდნენ ქუჩებისა და მოედნების გარეგნულ-ჩვენებითი ფორმებით; განყენებული ესთეტური იდეების სასარგებლოდ გადაწყვეტილი, ადამიანებისადმი უგულებელყოფილი იყო საქალაქო მშენებლობის ეკონომიკის, ქალაქების განსაღების, ტრანსპორტის განვითარებისა და მოსახლეობის მოხერხებულობის ინტერესები.

საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების დაპროექტებასა და მშენებლობაში არქიტექტურისადმი არასწორმა მიდგომამ გამოიწვია ეკონომიკურად და ტიპური დაპროექტების უგულებელყოფა, მოჩვენებითი, ყალბი სილამაზე, დეკორაციული ზედმეტობის წარმოშობა, რაც უცხოა საბჭოთა არქიტექტურისათვის.

სამრეწველო საწარმოთა მშენებლობაში, რომელიც უმთავრესად ინდივიდუალური პროექტებით ხორციელდებოდა, უშვებდნენ ტერიტორიებისა და კომუნიკაციების გადიდებულ ზომებს, შენობათა და ნაგებობათა მოედნებისა და მოცულობის გადიდებას, სამშენებლო კონსტრუქციების არარაციონალურ შერჩევას, სამრეწველო შენობებზე წარსულის არქიტექტურის მათრახის უჩვეულო და უცხო ფორმების გადატანას.

დაშვებული შეცდომები და ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად აიხსნება ერთი არქიტექტურული მეცნიერების ჩამორჩენით. იგი ხუროთმძღვრებს ორientაციას აძლევდა უმთავრესად არქიტექტურის გარეგანი მხარეების გაფორმაზე, მშენებლობის დაგეგმვის მოხერხებულობის, ტექნიკური მიზანშეწონილობის, ეკონომიურობისა და შენობათა ექსპლოატაციის საზიანოდ.

ნაკლოვანებათა გავრცელებას ხელს უწყობდა არქიტექტორთა კავშირის ხელმძღვანელობის არაპრინციპული და შემარიგებლური დამოკიდებულება ავტორსა და ადგილებზე დამახინჯებებისადმი არქიტექტურის თეორიასა და პრაქტიკაში.

საბჭოთა არქიტექტორებს ღრმად აქვთ შეგნებული სერიოზულობა მათ მიერ დაშვებული შეცდომებისა, რომლებიც მთელ რიგ შემთხვევებში აფერხებენ იმას, რომ განვავითაროთ და გამოვიყენოთ მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ მშენებლობის ღირებულების ეფექტურად შემცირებას და ვადების შემოკლებას, ხალხისათვის საცხოვრებელი ფართის ზრდას, კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების რაოდენობის სწრაფ გადიდებას.

საბჭოთა არქიტექტორები თავიანთ საქმიანობაში დაეყრდნობიან სოციალისტური რეალიზმის მოთხოვნებს, რომელიც შეუთავსებელია ფორმალისტურ ტენდენციებთან და წარსულის არქიტექტურის ნიმუშების ბრმად გადმოღებასთან, აგრეთვე არქიტექტურული მემკვიდრეობისადმი უგულებელყოფის დამოკიდებულებასთან.

საბჭოთა არქიტექტორებისათვის — თავიანთი სამშობლოს პატრიოტებისათვის არ არის და არც შეიძლება იყოს იმაზე უფრო საპატიო შემოქმედებითი ამოცანა, ვიდრე ჩვენი ხალხისათვის მოხერხებული საცხოვრებელი სახლების, სკოლების, კლუბების, საავადმყოფოებისა და სხვა შენობების, კეთილმოწყობილი და ლამაზი ქალაქებისა და სოფლების შექმნა.

ამ ამოცანის გადაჭრაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება მუშაობას ტიპური პროექტების შესაქმნელად, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან მასობრივად ავაგოთ მოხერხებული, ეკონომიური, მშენებლობაში სადა, მაღალინდუსტრიული და ლამაზი შენობები. ტიპური პროექტების საუკეთესო გადაჭრის კონკურსები ცხადყოფენ, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ პარტია და მთავრობა ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს.

საბჭოთა არქიტექტორების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა პირობას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, რომ ჩვენი არქიტექტორები მთელ თავიანთ ძალებს, ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარენ იმას, რომ უახლოეს ხანში შექმნან ტიპური გადაწყვეტანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მშენებლობის მკვეთრად გაიაფებას და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. 1956 წელს შეიქმნება ორ, სამ, ოთხ და ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლების; 280, 400, 800 მოწაფისათვის გათვალისწინებული სკოლების; ას, ორას, სამას და ოთხასადგილიანი საავადმყოფოების; საბავშვო დაწესებულებების, მაღაზიებისა და საზოგადოებრივი კვების; საწარმოების, კინოთეატრების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ახალი ტიპური პროექტები, რომლებიც დამყარებული იქნება ასაწყობი რკინაბეტონის უნიფიცირებული კონსტრუქციების გამოყენებაზე, რაც შენობების აგების ინდუსტრიული მეთოდების ფართოდ გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

მასობრივი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო მშენებლობისათვის აგრეთვე შემუშავდება უნივერსალური საწარმოო შენობების ტიპური პროექტები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება იმისათვის, რომ მათი აგებისას ფართოდ გამოიყენონ ასაწყობი საქარხნო ელემენტები.

საბჭოთა არქიტექტორები შეისწავლიან და ამ დიდ მუშაობაში გამოიყენებენ დაპროექტებისა და მშენებლობის საუკეთესო სამამულო და უცხოეთის გამოცდილებას.

ტიპური პროექტებით მშენებლობა დიდი სიმწვავით აყენებს ქალაქებისა და დაბების დაგეგმვისა და გაშენების საკითხებს. ჩვენ, წინაშე დგას ახალი ამოცანა — შეზღუდული რაოდენობის ტიპური პროექტების საფუძველზე შევქმნათ უბნების გაშენების მრავალფეროვანი სისტემები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მშრომელთა საყოფაცხოვრებო საჭიროებების ყოველმხრივი დაკმაყოფილება. ფართო გამწვანება, ბავშვებისათვის სათამაშო და დასასვენებელი მოედნების შექმნა, საცხოვრებელი სახლების იზოლაცია მაგისტრალური ქუჩების ხმაურისაგან, საბავშვო ბაღების, ბაგების, სკოლებისა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალურ შენობათა გონივრული, ბინასთან მოხერხებულად დაკავშირებული განლაგება — აი რა უნდა გახდეს ჩვენი შემოქმედებითი მისწრაფება.

საბჭოთა არქიტექტორების კავშირი ყოველ ღონეს იხმარს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს.

შემუშავება და სამშენებლო პრაქტიკაში მოხერხებული, ეკონომიური, ინდუსტრიული და ლამაზი შენობების ტიპური პროექტების უნარიანი გამოყენება, კეთილმოწყობილი კვარტალების შექმნა — არქიტექტორებისაგან მოითხოვს ყოველმხრივ მიდგომას შემოქმედებითი ამოცანების გადაჭრისადმი. არქიტექტურის ნამდვილი ოსტატი ამიერიდან ის იქნება, ვისაც უნარი შესწევს გადაჭრას ეს ძირითადი ამოცანები.

ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების ყველგან გამოყენება ჩვენგან მოითხოვს ასაწყობი რკინაბეტონის წარმოების ტექნოლოგიისა და სამშენებლო წარმოების ახალი ინდუსტრიული მეთოდების ღრმად გაგებას.

საბჭოთა არქიტექტორების კავშირს თავის მოვალეობად მიაჩნია უმოკლეს ვადაში აამაღლოს არქიტექტორთა საინჟინრო კვალიფიკაცია, რეალური დახმარება გაუწიოს არქიტექტორებს მშენებლობის ეკონომიკისა და ტექნოლოგიის ცოდნის შეთვისებაში, რაც საჭიროა საბჭოთა არქიტექტურულ-სამშენებლო ამოცანების კომპლექსური გადაჭრისათვის.

საბჭოთა არქიტექტორების მეორე ყრილობა მხურვალედ მიესალმება მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის შექმნას. მისი კომპლექსური აგება და არქიტექტურული და სამშენებლო-ტექნიკური ინსტიტუტების, პოლიგონების, ლაბორატორიებისა და ექსპერიმენტული მშენებლობის ფართოდ განვითარება უზრუნველყოფს მშენებლობისა და არქიტექტურის დარგში ძირეული მეცნიერული პრობლემების სრულფასოვან გადაჭრას, უზრუნველყოფს სამშენებლო პრაქტიკისადმი ქმედითს დახმარებას.

საბჭოთა არქიტექტორების კავშირი თავის მუშაობაში ყოველი ღონისძიებით გაუწევს დახმარებას მეცნიერების განვითარებას მეცნიერულ ნაშრომთა განხილვისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე დისკუსიების მოწყობის გზით.

პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის საბჭოთა არქიტექტორები იმუშავებენ კონსტრუქტორებთან, ეკონომისტებთან, სანტექნიკოსებთან, ტექნოლოგებთან და მშენებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების წარმატებით გამოყენება და მისი ხარისხის გაუმჯობესება მოითხოვს მალე დავძლიოთ ახალი საშენი და მოსაპირკეთებელი მასალების, შენობათა და ნაგებობათა მოწყობილობის საგნების წარმოების ჩამორჩენა. საბჭოთა არქიტექტორების კავშირი ყოველ ღონისძიებას იხმარს, რათა საშენი მასალებისა და ნაწარმის, შენობათა მოწყობილობის განხილვის, ქარხნების მზა პროდუქციის გამოფენების გამართვის, საუკეთესო ნიმუშების შერჩევის გზით ხელი შეუწყოს მასალებისა და მოწყობილობის საგნების ასორტიმენტის გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებას.

ჩვენს შემოქმედებითს ორგანიზაციაში ფართოდ განვავითარებთ კრიტიკასა და თვითკრიტიკას როგორც ჩვენი კადრების აღზრდის უმნიშვნელოვანეს შეთოდს, უზრუნველყოფთ საზოგადოებრივ, პრაქტიკულ და მეცნიერულ სამუშაოზე ახალი ახალგაზრდა არქიტექტორების გაბედულად დაწინაურებას.

საბჭოთა არქიტექტორების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ნიშანსვეტია ჩვენი არქიტექტურის განვითარებაში. საბჭოთა არქიტექტორებს კარგად ესმით, თუ რა დიდ ვალში არიან ისინი ჩვენი ხალხის წინაშე, შეგნებული აქვთ თავიანთი შეცდომები და ნაკლოვანებანი.

ჩვენ, ყრილობის მონაწილენი, ყველა საბჭოთა არქიტექტორის სახელით პირობას ვაძლევთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, რომ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ბოლო მოვუღოთ ამ ნაკლოვანებებს დაპროექტებისა და მშენებლობის პრაქტიკაში და წარმატებით გადავჭრათ ახალი შემოქმედებითი ამოცანები. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას და საბჭოთა კავშირის ეკონომიკის შემდგომ განმტკიცებას.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის სახელოვან ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

საბჭოთა არქიტექტორების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა.

დამთავრდა საბჭოთა არქიტექტორების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა

ოქტომბერი საბჭოთა არქიტექტორების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობის მუშაობის ბოლო დღე იყო.

ფიციალურ ანგარიშებიდან ჩანს, რომ საბჭოთა არქიტექტორების კავშირის გამგეობის საქმიანობა პირველიდან მეორე ყრილობამდე განვლილ პერიოდში, დელეგატებმა მიიღეს გადაწყვეტილება — არადამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს გამგეობის მუშაობა.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ არქიტექტორთა მეორე სრულიად საკავშირო ყრილობას ნაჩანია, რომ არქიტექტორების, საპროექტო და საშენებლო ორგანიზაციების მთელი მუშაობა უნდა ითვალისწინებდეს ამ მითითებებს, რომლებსაც შეიცავენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება საბჭოთა არქიტექტორების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობისადმი. ეს მითითებანი უნდა გახდნენ ყველა არქიტექტორის, საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციის და ჩვენი კავშირის საქმიანობის შემოქმედებითი პროგრამა.

ყრილობაზე მოხსენებათა განხილვის დროს, მშრომელთა წერილებში, რომლებიც ყრილობამ მიიღო, გამოთქმულია ბევრი დიდმნიშვნელოვანი კრიტიკული შენიშვნა და შეტანილია მთელი რიგი ძვირფასი პრაქტიკული წინადადებანი მშენებლობისა და არქიტექტურის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ.

ყრილობამ დაავალა არქიტექტორების კავშირის ახლად არჩეულ გამგეობას გულმოდგინედ განიხილოს ყრილობის მასალები, იხელმძღვანელოს პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება საბჭოთა არქიტექტორების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობისადმი. ეს მითითებანი უნდა გახდნენ ყველა არქიტექტორის, საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციის და ჩვენი კავშირის საქმიანობის შემოქმედებითი პროგრამა.

ყრილობაზე მოხსენებათა განხილვის დროს, მშრომელთა წერილებში, რომლებიც ყრილობამ მიიღო, გამოთქმულია ბევრი დიდმნიშვნელოვანი კრიტიკული შენიშვნა და შეტანილია მთელი რიგი ძვირფასი პრაქტიკული წინადადებანი მშენებლობისა და არქიტექტურის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ.

ყრილობამ დაავალა არქიტექტორების კავშირის ახლად არჩეულ გამგეობას გულმოდგინედ განიხილოს ყრილობის მასალები, იხელმძღვანელოს პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება საბჭოთა არქიტექტორების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობისადმი. ეს მითითებანი უნდა გახდნენ ყველა არქიტექტორის, საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციის და ჩვენი კავშირის საქმიანობის შემოქმედებითი პროგრამა.

ყრილობაზე დაავალა გამგეობას გარდაქმნას კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობა იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც დასახულია არქიტექტორთა წინაშე, გაძლიეროს ურთიერთობა მშენებლებთან და საშენი მასალების მრეწველობის მუშაკებთან. გამგეობას დაევალა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კავშირის წევრებს შორის იდეურ-აღზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას და მათი პროფესიული ოსტატობის ყოველმხრივ განვითარებას.

გუშინ წესდების სარედაქციო კომისიის თავმჯდომარემ გ. ვ. გოლოვკომ მოახსენა ყრილობას, რომ კომისიამ მიიღო წინადადებანი და შესწორებანი სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის წესდების პროექტისადმი. ყრილობამ განიხილა ეს შესწორებანი და წინადადებანი, ხოლო შემდეგ ერთხმად მიიღო სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის წესდება.

ყრილობამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

ყრილობამ აირჩია სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის ახალი გამგეობა ასი კაცის შემადგენლობით, არჩეულია აგრეთვე საარეგიონო კომისია.

ღიას წესრიგი ამოიწურა. საბჭოთა არქიტექტორების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა დახურულად გამოცხადდა. (საკდესი).

პარტიის XX ყრილობისადმი აღსანიშნავად

აჭარის ასსრ. რესპუბლიკის ციტრუსოვანთა პლანტაციებში გაჩაღებულია მანდარინის მასობრივი კრეფა. **სურათზე:** ბათუმის რაიონის ხრუშჩოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეები ლ. სურმანიძე და ა. გოგაბერიძე მანდარინის კრეფაზე.

ფოტო ვ. ბაბაიანისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ჩაის მზა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა გადამეგებით შეასრულეს

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ნარაზენის ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც ჩაბმულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ჩაის მზა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 106,8 პროცენტით შეასრულა. მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, საგრძნობლად შემცირდა თვითღირებულება.

ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ დამხარისხებელი, საჭკნობი და საგრეხი საამქროები.

ფაბრიკამ წელს სახელმწიფოს 500 ათას მანეთზე მეტი ზეგეგმითი მოგება მისცა.

ფაბრიკის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე დამატებით მისცეს სახელმწიფოს ასეული ათასობით მანეთი ზეგეგმითი მოგება.

მეჯაღურგთა მიღწევები

რუსთავი. (საკ. კორ.). პარტიის XX ყრილობისათვის მზადების დღეებში მაღალნაყოფიერად შრომობენ რუსთავის მეტალურგები და მშენებლები. ნოემბრის საწარმოო გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის, ბლუმინგის, მილნამზადის, მილსაგლინავი საამქროებისა და თბოელექტროცენტრალის კოლექტივებმა.

ყველაზე უკეთეს საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს მილსაგლინავი საამქროს მგლინავებმა. მათ ნოემბრის სახელმწიფო გეგმა 108,5 პროცენტით გაანაღდეს. ნოემბერში საამქროს ხუთივე ცვლამ დიდი წარმატებით იმუშავა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით ასობით ტონა მაღალხარისხოვანი მილები მისცა.

განსაკუთრებით დაწინაურდნენ მილმგლინავთა ბრიგადები, რომლებსაც ახალგაზრდა ოსტატები ვ. მერაბიშვილი და ფ. დოლნიკი ხელმძღვანელობენ.

ხორციელდება შრომატევადი პროცესების მექანიზაცია

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა პარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. 15 ნოემბერს მან გაანაღდა მეხუთე ხუთწლედის გეგმა. შრომის ნაყოფიერება 1950 წელთან შედარებით 2,5-ჯერ გადიდდა.

ქარხანაში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დასანერგავად. სამსხმელო საამქროში აგებულია ახალი საშრობები, დამონტაჟებულია ფერადი ლითონების სადნობი ღუმელი, შემოღებულია კოკილური სხმა, დადგმულია ორი ხიდური ამწე. სამჭედლო-სატვიფრო საამქროში გაფართოებულია ავტომატური აირჩრის, აგრეთვე ცივი ლტვიფრვის გამოყენება.

ყრილობის აღსანიშნავი შეჯიბრების მონაწილეთა შორის წინ არიან მექანიკური საამქროს ხარატი ვ. ამირეგულოვი, მღარველი ლ. გოქაძე, საამწყობო საამქროს ზეინკალი ა. აკეტისოვი, მჭედელი ი. ბროვჩენკო, მეყალიბე ს. ესკინი და სხვები, რომლებიც 250-300 პროცენტით ასრულებენ ნორმებს.

(საკდესი).

მოწინავე შახტა — საკავშირო პრემია

ტყიბული. (საკ. კორ.). მიღებულია ოფიციალური ცნობა, რომ ოქტომბერში მოპოვებულ საწარმოო მაჩვენებლებისათვის ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის კოლექტივს მიკუთვნებული აქვს მეორე საკავშირო ფულადი პრემია. ცნობის მიღებამ ამ შახტის კოლექტივში საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია.

ოქტომბერში სტალინის სახელობის შახტაში ქვანახშირის ამოღების დავალება შესრულებული ჰქონდათ 105 პროცენტით, სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების გეგმა — 116,6 პროცენტით. ქვანახშირის თვითღირებულების შემცირებით ოქტომბერში შახტმა სახელმწიფოს 127.000 მანეთი ეკონომია მისცა.

ამ დღეებში ტყიბულელი მეშახტეები კიდევ უფრო აძლიერებენ მუშაობის ტემპს, ახალ წარმატებებს აღწევენ პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ცხაკაიელ მექანიზატორთა წარმატება

ცხაკაია. („კომუნისტის“ კორ.). ცხაკაიას მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კოლექტივმა (დირექტორი ამხ. გ. მორჩილაძე) წარმატებას მიაღწია პარტიის XX ყრილობის შესახვედრად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მტს-მა 1955 წლის მეოთხე კვარტალის ტრაქტორების რემონტის გეგმა ვადაზე ადრე — 30 ნოემბრისათვის გადაჭარბებით გაანაღდა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17 ტრაქტორისა შეკეთებულია 20 ტრაქტორი. ასევე გადაჭარბებით შესრულებულია სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტის მეოთხე კვარტალის გეგმა.

ცხაკაიელი მექანიზატორების ახალი ვალდებულებაა ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების წლიური რემონტის გეგმა შეასრულონ 30 დეკემბრისათვის.

საქართველოს რადიოს მუშაკთა სემინარი

ამას წინათ თბილისში მოეწყო საქართველოს რადიოს მუშაკთა ათდღიანი სემინარი. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს რადიოინფორმაციის მთავარი სამმართველოს პოლიტიკურ და მხატვრულ გადაცემათა რედაქტორები, აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის რადიოს მუშაკები, აგრეთვე რადიორედაქტორთა ჯგუფი აბაშიძიდან და ჩრდილოეთ ოსეთიდან.

სემინარზე მოხდა ცენტრალურ, რესპუბლიკურ და საოლქო გადაცემათა მოწყობის გამოცდილების განზოგადება.

სემინარში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდნენ საკავშირო რადიოს „უკანასკნელ გადაცემათა“, ლიტერატურულ-დრამატულ და საბავშვო გადაცემათა მთავარი რედაქტორები და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები. მათ თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს საქართველოს რადიოს მუშაკებს, უამბეს თავიანთ შემოქმედებითს გეგმებზე.

გარდა ამისა, სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები და მოხსენებები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, კულტურული მშენებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

ლექციები და მოხსენებები წაიკითხეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ რ. შანიძემ, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ა. გუნიამ, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ მ. ბუჯიაშვილმა, კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილემ ნ. ჯავახიშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობის განყოფილების გამგემ ვ. ბაბაშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ნ. მუსხელიშვილმა, აკადემიკოსმა ი. ბერიტაშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრებმა გ. ძოწენიძემ, ნ. კეცხოველმა, რ. აგლაძემ, ა. ბოჭორიშვილმა, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს რადიოინფორმაციის მთავარი სამმართველოს უფროსმა ა. კელენჯერიძემ, კრიტიკოსმა ბ. ეროენტმა, დოცენტებმა შ. ძიძიგურიმ, პ. ხუტუამ, კომპოზიტორმა ა. შავერზაშვილმა.

მ. ბლეიზერი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესია

ატომის ენერგია გამოვიყენოთ მხოლოდ სამშვიდობო მიზნებისათვის

ნიუ-იორკი, 4 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ შედგა გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა, რომელზეც დამტკიცებულ იქნა ასამბლეის კომიტეტების მოხსენებები და რეკომენდაციები მათ მიერ განხილული საკითხების შესახებ.

სამშვიდობო მიზნებისათვის ატომის ენერგიის გამოყენების შესახებ პოლიტიკური კომიტეტის მოხსენებისა და რეზოლუციის განხილვისას გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ვ. ვ. კუზნეცოვი.

საბჭოთა კავშირის დელეგაცია, თქვა ვ. ვ. კუზნეცოვმა, მხარს უჭერს პოლიტიკური კომიტეტის მიერ წარმოდგენილ რეზოლუციას სამშვიდობო მიზნებისათვის ატომის ენერგიის გამოყენების საკითხის შესახებ, რამდენადაც ამ რეზოლუციის მიზანია ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას ატომის ენერგიის სამშვიდობო გამოყენების საქმეში. ამასთან ერთად საბჭოთა დელეგაციას აუცილებლად მიაჩნია აღინიშნოს, რომ ამ რეზოლუციაში შეტანილი არ არის ზოგიერთი მნიშვნელოვანი დებულება, რომელთა მიღება ყველაზე მეტად შეუწყობდა ხელს ამ დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

საბჭოთა კავშირის დელეგაცია, თქვა ვ. ვ. კუზნეცოვმა, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მხოლოდ ატომური იარაღის გამოყენებისა და წარმოების აკრძალვას და მის გამორიცხვას საჯელმწიფოთა შეიარაღებიდან შეუძლია უზრუნველყოს მართლაც ფართო და ნაყოფიერი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება ატომის ენერგიის სამშვიდობო გამოყენების დარგში, და მხოლოდ მაშინ ატომის ენერგია გამოყენებულ იქნება მხოლოდ სამშვიდობო მიზნებისათვის, კაცობრიობის საკეთილდღეოდ. საბჭოთა დელეგაციის წინადადება იყო, რომ გენერალური ასამბლეის რეზოლუციამ მოუწოდოს ყველა სახელმწიფოს განაგრძონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია შეთანხმების მიღწევა ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ.

ვ. ვ. კუზნეცოვმა აგრეთვე ყურადღება მიაქცია იმას, რომ ატომის ენერგიის სამშვიდობო გამოყენების სამეცნიერო კონფერენციებში, აგრეთვე საერთაშორისო საგენტოს წესდების გამომუშავებულ კონფერენციაში მონაწილეობა რეზოლუციის მიზედვით განისაზღვრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან სპეციალიზებული დაწესებულებების წევრი სახელმწიფოებით. საგენტო, განაგრძო ვ. ვ. კუზნეცოვმა, როგორც ეს ჩანს ბევრი დელეგაციის მიერ გამოთქმული მოსაზრებიდან, უფრო ფართო საფუძველზე უნდა მოეწყოს, ისე რომ არც ერთი სახელმწიფო არ იქნას ჩამოშორებული მასში მონაწილეობის იდეოლოგიური ან სხვა რომელიმე მოტივით.

ასამბლეამ ერთხმად მოიწონა პოლიტიკური კომიტეტის რეზოლუცია ატომის ენერგიის სამშვიდობო გამოყენების შესახებ.

ამის შემდეგ ასამბლეამ განიხილა პოლიტიკური კომიტეტის მოხსენება და რეზოლუცია ატომური რადიაციის ზეგავლენის საკითხზე.

ინდოეთის წარმომადგენელმა კრიშნა მენონმა ასამბლეის განსახილველად შეიტანა რეზოლუციის ორი პუნქტის შესწორებანი. ეს შესწორებები რეზოლუციის ტექსტიდან გამორიცხავენ შენიშვნებს, რომლებიც ატომური რადიაციის მოქმედების შესახებ ცნობების შეგროვებასა და გავრცელებაში მონაწილეობას განსაზღვრავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და მისი სპეციალიზებული დაწესებულებების წევრი სახელმწიფოებით.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლები გამოვიდნენ ინდოეთის დელეგაციის ამ შესწორებების წინააღმდეგ.

შემდეგ გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ვ. ვ. კუზნეცოვი.

მან მოაგონა სხდომას, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაციამ კომიტეტში ხმა მისცა რეზოლუციას ატომური რადიაციის მოქმედების საკითხის შესახებ და ხმას მისცემს მას ასამბლეაში, მიაჩნია რა, რომ ეს რეზოლუცია დადებით გავლენას მოახდენს ადამიანზე და მის გარემომცველ წრეზე ატომური რადიაციის მოქმედების შესწავლის დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებაზე. ამასთან ერთად, თქვა ვ. ვ. კუზნეცოვმა, საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე ამ რეზოლუციის მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებები.

ამ რეზოლუციაში გენერალური ასამბლეა არ გამოთქვამს თავის დამოკიდებულებას ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისადმი, რაც ბევრმა ქვეყანამ მოითხოვა. საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ გენერალურმა ასამბლეამ სახელმწიფოებს და პირველ რიგში იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც ატომეულის მასალები და ატომური იარაღის წარმოებისათვის საჭირო საშუალებები აქვთ, მოუწოდოს განაგრძონ ღონისძიებანი იმ მიზნით, რომ მიაღწიონ შეთანხმებას ატომური, წყალბადის და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღის აკრძალვის შესახებ და — როგორც პირველ ნაბიჯს — შეთანხმებას ასეთი იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

ასამბლეამ ერთხმად მოიწონა ატომური რადიაციის მოქმედების შესახებ პოლიტიკური კომიტეტის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია. ინდოეთის დელეგაციის მიერ შემოტანილი შესწორებები უარყოფილ იქნა უმნიშვნელო უმრავლესობით.

ასამბლეამ დაამტკიცა აგრეთვე კომიტეტების მოხსენებები და. რეკომენდაციები მარაოს საკითხზე, პალესტინელ ლტოლვილთათვის დახმარების გაწევის შესახებ გაერთიანებული ერების განერალური საგენტოს დირექტორის მოხსენების გამო, სამხრეთ აფრიკის კავშირში რასობრივი კონფლიქტის საკითხზე, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის საკითხზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფინანსურ ხარჯებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე.

ეკონომიური და ფინანსური საკითხების კომიტეტში

ნიუ-იორკი, 5 დეკემბერი. (საკდესი). ეკონომიური და ფინანსური საკითხების კომიტეტმა დაამთავრა ეკონომიური და სოციალური საბჭოს მოხსენების განხილვა საერთაშორისო ეკონომიური მდგომარეობის, საერთაშორისო ვაჭრობისა და სხვა ეკონომიური საკითხების შესახებ.

თუმცა საბჭოს საქმიანობა წელს მიმდინარეობდა საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების ვითარებაში, მაგრამ საბჭომ სუსტად გამოიყენა ამ ვითარების შესაძლებლობანი ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებისათვის ხელის შესაწყობად. ეს აღნიშნა კამათში გამოსულმა ბევრმა დელეგატმა.

ვაჭრობაში დისკრიმინაციული ღონისძიებანი, რომლებსაც მთელი რიგი ქვეყნები იყენებენ სსრ კავშირისა და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს მიმართ, განაცხადა თავის გამოსვლაში სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. პ. მოროზოვმა, ქმნიან უნდობლობას ცალკეულ ქვეყნებს შორის და ხელს უშლიან მათი არა მარტო ეკონომიური, არამედ აგრეთვე სხვა ურთიერთობის განმტკიცებას. საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოები, და უწინარეს ყოვლისა ეკონომიური და სოციალური საბჭო, ყოველი ღონისძიებით უნდა უწყობდნენ ხელს ვაჭრობაში არსებულ დაბრკოლებათა, მათ შორის დისკრიმინაციულ ღონისძიებათა ლიკვიდაციას, რომლებიც აფერხებენ ალმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის გაფართოებას, უნდა უწყობდნენ ხელს საზღვაო სავაჭრო ნაოსნობის დარგში არსებულ შეზღუდვათა აღმოფხვრას. საბჭო აგრეთვე უნდა უწყობდეს ხელს პირადი ურთიერთობისა და კონტაქტების განვითარებას, ქვეყნებს შორის მეცნიერული და ტექნიკური გამოცდილების გაცვლის მოგვარებას, კულტურული ურთიერთობის, საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას და სხვ.

ის გარემოება, რომ ეკონომიურ და სოციალურ საბჭოს და მის დამხმარე ორგანოებში არ არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი წარმომადგენლები, თქვა მოროზოვმა, არანორმალურ მდგომარეობას ქმნის და აფერხებს ამ ორგანოების საქმიანობის განვითარებას.

საჭიროა აგრეთვე დადებითად გადაწყდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის წევრებად ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის მიღების საკითხი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კომისიის მუშაობაში მისი საქმიანობის დაწყებიდანვე.

უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ინდოეთის, ავღანეთისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმაც მოითხოვეს საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოება, გაილაშქრეს ვაჭრობაში დისკრიმინაციულ ღონისძიებათა წინააღმდეგ.

ავღანეთის წარმომადგენელმა ხაკიმმ გაილაშქრა მისი ქვეყნის ბლოკადის წინააღმდეგ, რასაც პაკისტანი ახორციელებს. როგორც ცნობილია, ავღანეთს არა აქვს ზღვაში გასასვლელი, და ავღანეთის მიერ შემოტანილი და გატანილი საქონლის ძირითადი ნაკადი პაკისტანის ნავსადგურ კარაჩით გადიოდა. ამჟამად პაკისტანმა დახურა ეს ნავსადგური ავღანეთისათვის, რითაც დაარღვია საერთაშორისო წესები და შეთანხმებანი. ავღანეთის წარმომადგენელმა ამჟამ გამოთქვა, რომ ეკონომიური და სოციალური საბჭო ყურადღებას მიაქცევს საქონლის საერთაშორისო ტრანზიტის გაადვილების საკითხს.

არავის დამალვერებლად არ ეჩვენა ამერიკელი და ინგლისელი დელეგატების გამოსვლა, რომლებმაც სცადეს ლიტონი სიტყვებით, ფაქტების დამახინჯებით უარეყოთ, რომ დისკრიმინაციული ღონისძიებანი, რომლებსაც ისინი ახორციელებენ სსრ კავშირთან და მთელ რიგ სხვა ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის დარგში, წარმოადგენენ ძირითად დაბრკოლებას, რომელიც ხელს უშლის საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას. სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგატებმა კონკრეტული ფაქტებით და ციფრებით ცხადყვეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლების მტკიცებათა მთელი უსაფუძვლობა. სწორედ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაუქმეს სავაჭრო შეთანხმებანი სსრ კავშირთან და მთელ რიგ სხვა ქვეყნებთან, შემოიღეს ექსპორტის კონტროლის წესები, რომლებიც მოასწავლენენ ამ ქვეყნებში ბევრი საქონლის ექსპორტის ფაქტიურად აკრძალვას და სხვ.

უსაფუძვლო აღმოჩნდა აგრეთვე ამერიკელი და ,ინგლისელი დელეგატების მტკიცება, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს თითქოს არა აქვთ საკმაო საქონელი სხვა ქვეყნებთან ვაჭრობისათვის. რამდენად არ შეესაბამება ამგვარი განცხადებები ფაქტებს, თქვა სსრ კავშირის წარმომადგენელმა მოროზოვმა, ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობა ომის შემდგომ წლებში ერთიათხად გადიდდა ომამდელ პერიოდთან შედარებით. მიუხედავად ხელოვნური ბარიერებისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის მონაცემებით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა თავიანთი ექსპორტი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში 1955 წლის პირველ ნახევარში 1954 წლის პირველ ნახევართან შედარებით ერთი მესამედით გადიდეს.

კომიტეტმა დაამთავრა ეკონომიური და სოციალური საბჭოს მოხსენების განხილვა ისე, რომ არ მიუღია არავითარი რეზოლუცია.

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის განცხადება

ნიუ-იორკი, 5 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნული კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა 32 შტატის 150 დელეგატი. კონფერენციამ მოიწონა განცხადება, რომელშიც მიესალმება დემოკრატიული უფლებებისათვის ბრძოლის გაძლიერებას შეერთებულ შტატებში.

კონფერენციამ მოუწოდა გაფართოვდეს კამპანია ანტიდემოკრატიული კანონების გაუქმებისათვის.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის ჯიჯოს მომავალი ვიზიტი ეგვიპტეში

ბელგრადი, 2 დეკემბერი. (საკდესი). საგარეო საქმეთა სახელმწიფო სამდივნოში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ იუგოსლავიის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ-ტიტო პრემიერ-მინისტრ ნასერის მიწვევით დეკემბრის დამლევს ოფიციალურ ვიზიტს გაუკეთებს ეგვიპტეს.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილებაში

5 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგემ ლ. თ. ილიჩოვმა პრესის განყოფილებაში მიიწვია ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მოსკოველი კორესპონდენტი რ. ო'მალეი, ხოლო შემდეგ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" მოსკოველი კორესპონდენტი უ. ჰანგენი და განუცხადა მათ, რომ ინფორმაციაში, რომელიც მათ მოსკოვიდან გადასცეს მშენებლობის საკითხებზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 10 ნოემბერს გამოქვეყნებული დადგენილების გამო, მათ დაუშვეს უხეში დამახინჯებანი. ეს, თავის მხრივ, იმის საბაბი გახდა, რომ ამერიკის პრესაში და ამერიკის რადიოს გადაცემებში გამოქვეყნებულიყო ყალბი ცნობები, რომლებიც შეიცავენ უხეშ გამოხდომებსა და შეურაცხყოფას საბჭოთა მშენებელთა დელეგაციის ზოგიერთი წევრის მიმართ, რომლებიც იმ დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდნენ, და, განსაკუთრებით, მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის პრეზიდენტის ა. ვ. ვლასოვის მიმართ. ამერიკის გაზეთებში დაიბეჭდა ჭორები იმის შესახებ, რომ ა. ვ. ვლასოვს თითქოს ჩამოერთვა ჯილდოები, წოდებანი და რომ იგი დათხოვნილია სამუშაოდან.

ასეთი ზნეჩვეულებანი შეუთავსებელია ნორმალურ მდგომარეობასთან და მხოლოდ სახელს უტეხენ ამერიკის საგაზეთოებსა და გაზეთებს, რომელთა წარმომადგენლებიც აღნიშნული კორესპონდენტები არიან.

პრესის განყოფილებაში აღნიშნულ კორესპონდენტთა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ არ შეიძლება გამეორდეს ასეთი რამ, და გააფრთხილეს ისინი, რომ თუ შემდგომშიც იქნება დაშვებული ასეთი ფაქტები, საბჭოთა ორგანოები მიიღებენ შესაბამის ღონისძიებებს.

დარბაზობა სსრ კავშირის ელჩთან ინდოეთში

დელი, 5 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ინდოეთში მ. ა. მენშიკოვმა დარბაზობა გამართა დელში მყოფი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის ი. ი. პალეცკისის, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის შ. რაშიდოვისა და სსრ კავშირის კულტურის მინისტრის ნ. ა. მიხაილოვის პატივსაცემად.

დარბაზობას, რომელშიც გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, დაესწრნენ ინდოეთის სახალხო პალატის თავმჯდომარე მავალანკარი, ინდოეთის შტატების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კრიშნამურტი რაო, პარლამენტის დეპუტატები, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, პრესის წარმომადგენლები.

ინდოეთში გაემგზავრა საბჭოთა ინჟინერ-მეტალურგების დელეგაცია

5 დეკემბერს მოსკოვიდან დელს გაფრინდა საბჭოთა ინჟინერ-მეტალურგების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრის მოადგილე ვ. ბ. ხლებნიკოვი. დელეგაცია ინდოეთის მთავრობას განსახილველად წარუდგენს ინდოეთის მეტალურგიული ქარხნის პროექტს, რომელიც საბჭოთა სპეციალისტებმა მოამზადეს. (საკდესი).

ინგლისში საბჭოთა მასწავლებლების დელეგაციის მოგზაურობის გამო

ლონდონი, 3 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ლონდონიდან მოსკოვს გაემგზავრა საბჭოთა მასწავლებლების პროფკავშირთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს რუსეთის სფსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ი. გრიგკვი.

ინგლისში 20 დღის ყოფნისას დელეგაციის წევრებმა მოიარეს ლონდონი, ბირმინჰამი, ბრისტოლი, საუტჰემპტონი და სხვა ქალაქები, სადაც გაეცნენ განათლების მდგომარეობას სკოლებსა და სხვა სასწავლებლებში. ყველგან ინგლისელი მასწავლებლები გულთბილად ხვდებოდნენ საბჭოთა დელეგაციის წევრებს და მეგობრულ საუბრებში ერომანეთს უზიარებდნენ აზრს დაწყებითს და საშუალო სკოლებში სწავლების მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. საბჭოთა მასწავლებლები საუბრებში აღნიშნავდნენ, რომ ისინი მოსწავლეებს უნერგავენ სხვა ხალხებისადმი მეგობრობისა და პატივისცემის გრძნობებს, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომისადმი სიყვარულს. საბჭოთა დელეგაცია შეუთანხმდა ინგლისელ მასწავლებლებს სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ხელსაწყოების გაცვლის შესახებ.

ინგლისის მასწავლებელთა ეროვნულმა კავშირმა მიიღო გადაწყვეტილება გაგზავნოს საბჭოთა კავშირში მომავალი წლის აპრილში დელეგაცია, რომელიც შეევლენ პედაგოგები და მასწავლებელთა ეროვნული კავშირის ხელმძღვანელი მუშაკები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა

ბერლინი, 6 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც დაამტკიცეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1956 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა.

კომუნისტების გამარჯვება დორტმუნდის მეტალურგიული ქარხნის საწარმოო საბჭოს არჩევნებში

ბერლინი, 2 დეკემბერი. (საკდესი). როგორც დასავლეთ გერმანიის დპა-ს საგენტო იუწყება, დორტმუნდში მეტალურგიული ქარხნის „ვესტფალენჰიუტე აგ"-ის საწარმოო საბჭოს გადარჩევის დროს კომუნისტებმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მიიღეს საბჭოში.

25 ადგილიდან საწარმოო საბჭოში 17 მიიღეს გერმანიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებმა, 6 — გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და 2—ქრისტიან დემოკრატთა კავშირმა (ადენაუერის პარტია).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია მოსკოვში

5 დეკემბერს მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია პრემიერ-მინისტრ ოტო გროტეველის მეთაურობით. დელეგაცია მიემგზავრება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ამ ქვეყნების მთავრობათა მიწვევით. დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა ავრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ძენ იუნ-ციუანი.

ცენტრალურ აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ ამხანაგები ა. ი. მიკოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. ა. სუსლოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ე. ა. ფურცევა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-3 განყოფილების გამგე ს. გ. ლაპინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოქმის უფროსი ე. ა. ტარაბრინი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ი. კენიგი და საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები სსრ კავშირში — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა — ლიუ სიაო, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა — ლი სან ჩო, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა — დ. ადილბიში, მოსკოვში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლები, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

დღისით სსრ კავშირის მთავრობამ სადილი გამართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეველი და მისი მეუღლე, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი დოქტორი ლოტარ ბოლეი, იუსტიციის სამინისტროს სტატს-მდივანი დოქტორი ჰენრიხ ტეპლიცი, სახალხო პალატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე პეტერ ფლორინი, საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ელჩი ფრიც გროსე, გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების სამდივნოს წევრი კრისტა იაბლონსკაია, ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი, დოქტორი ვალტერ ნაიე, სახალხო პოლიციის გენერალ-მაიორი ჰენრიხ დოლვეტცელი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის თავმჯდომარე შრომის გმირი ერნსტ ვულფი, დესაუს ვაგონმშენებელი ქარხნის ოსტატი — აქტივისტი ვერნერ ჰორნი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ი. კენიგი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ა. ი. მიკოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. ზ. საბაროვი, მ. ა. სუსლოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ე. ა. ფურცევა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-3 განყოფილების გამგე ს. გ. ლაპინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოქმის უფროსი ე. ა. ტარაბრინი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად გამართულ სადილზე იყვნენ აგრეთვე საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები სსრ კავშირში — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა — ლიუ სიაო, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა — ლი სან ჩო, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა — დ. ადილბიში, მოსკოვში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლები, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

საღამოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრები ჯგუფებად დაიყვნენ და დაესწრნენ სპექტაკლ „განათლების ნაყოფს" მოსკოვის სამხატვრო თეატრში და მოისმინეს ოპერა „ივანე სუსანინი" სსრ კავშირის დიდ თეატრში. (საკდესი).

სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის სავაჭრო ურთიერთობისათვის

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაციას შორის წარმატებით დამთავრებული სავაჭრო მოლაპარაკების შედეგად მიღწეული წლის 3 დეკემბერს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა ოქმი სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ 1956 წლისათვის.

ოქმი ითვალისწინებს საქონლის ურთიერთმიწოდების მოცულობის გადიდებას იმ საქონლურნუსხასთან შედარებით, რომელიც მიღწეულია 1955 წელს.

საბჭოთა კავშირი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მიაწვდის მარცვლეულ და სასურსაათო საქონელს, ბამბას, შავ და ფერად ლითონებს, ქვანახშირს, კოქსს, ნავთობს, რკინის, მარგანეცისა და ქრომის მადანს, ხე-ტყის მასალებს, ავტომობილებსა და სხვა საქონელს, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ესაჭიროება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა კავშირს მიაწვდის ნაგლინს, საავეჯოსატრანსპორტო, სამკეთლო-საწერო და სხვა მიწყობილობას, საზღვაო და სამდინარო გემებს, რკინიგზის მძიმე შემადგენლობას, აგრეთვე სხვა საქონელს, რომელსაც სსრ კავშირს აწვდიდა წარსულ წლებში.

დელეგაცია გააცილეს აგრეთვე სსრ კავშირში ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მ. პრიფტიმ და საელჩოს თანამშრომლებმა.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების თავმჯდომარემ გოგო ნუშიმ გამგზავრების წინ აეროდრომზე წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც დელეგაციის სახელით მადლობა გამოთქვა იმ მხურვალე და გულწრფელი მიღებისათვის, რაც ალბანელ პარლამენტარებს სსრ კავშირში აღმოუჩინეს.

— ჩვენ დარწმუნებული ვართ, — თქვა გოგო ნუშიმ, — რომ საბჭოთა კავშირში ჩვენი დელეგაციის ყოფნა ხელს შეუწყობს ჩვენს ხალხებს შორის ძმური მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, მშვიდობის დიად საქმეს.

ვიმშვიდობებით რა თქვენს ქვეყანას, სულით და გულით ვუსურვებთ მომძლე საბჭოთა ხალხს კიდევ უფრო მეტ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში და მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

დაე განმტკიცდეს და საუკუნეებში ცოცხლობდეს ურღვევი მეგობრობა ალბანელ და საბჭოთა ხალხებს შორის!

* * *

უკანასკნელი წუთებია გამგზავრების წინ. სტუმრები გულთბილად ემშვიდობებიან გამცილებლებს და ადიან თვითმფრინავში...

(საკდესი).

მოსკოვიდან გაემგზავრა ავსტრიის პარლამენტის დელეგაცია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვეულთ საბჭოთა კავშირში ორ კვირას იყო სტუმრად ავსტრიის პარლამენტის დელეგაცია ფედერალური საბჭოს თავმჯდომარის ა. ფრიშის მეთაურობით. კვირას, 4 დეკემბერს, ავსტრიელი პარლამენტარები მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრნენ.

ავსტრიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე სტუმრები გააცილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. ვოლკოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ე. ავხიმოვიჩმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილემ ა. თ. გორკინმა, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრმა ვ. პ. ელიუტინმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა და სხვა პირებმა.

სტუმრები გააცილეს აგრეთვე სსრ კავშირში ავსტრიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ნ. ბიშოფმა და საელჩოს თანამშრომლებმა.

სამშობლოში გაემგზავრა ალბანეთის საპარლამენტო დელეგაცია

4 დეკემბერს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა ალბანეთის საპარლამენტო დელეგაცია ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების თავმჯდომარის გოგო ნუშის მეთაურობით. დელეგაცია დაესწრო სამ კვირას იყო სტუმრად საბჭოთა კავშირში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვეულთ.

... ვნუკოვოს აეროდრომი. ფლაგშტოკებზეა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმები. სტუმრების გასაცილებლად აქ მოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ე. ავხიმოვიჩი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის მინისტრები: ვ. პ. ელიუტინი, ვ. გ. ეაკორონკოვი და ვ. პ. ზოტოვი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ს. ვ. კაფტანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები მ. ზ. აზიზოვი, ტ. ი. ანტროპოვი, პ. ა. კოკორევი, გ. ი. კოტაიში, რ. ნ. მაჩულსკი, დ. გ. ონიკა, ა. ე. პეტრუშევი, ი. მ. ფილიპოვი, რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ლ. ვ. დუბროვინი, ი. ა. ლუკაშევი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე პ. ი. ლეონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი მ. ვ. ზიმიანინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-5 განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ვ. ფ. ნიკოლაევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსი ნ. კ. კოზლოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, მოსკოვის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი, პრესის მუშაკები.

დელეგაცია გააცილეს აგრეთვე ს